| სოციალური დაცვა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| უმწეოთა სპეციფიკური დახმარება (ადგილ. მნიშვნ.) | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| უმწეოთა სპეციფიკური დახმარება (სამხარეო მნიშვნ.) | | დ | | ს | ს | | | | | | | | | ნ | ნ | ნ | | | | | | | ს | |
| უმწეოთა სპეციფიკური დახმარება (ეროვნული მნიშვნ.) | | დ | | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | | | ს | ს | ნ |
| დაუცველი და მოწყვლადი სოციალური ფენების (დაბალშემოსავლიანი,) დახმარება (ადგ) | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| დაუცველი და მოწყვლადი სოციალური ფენების (დაბალშემოსავლიანი, მრავალშვილიანი და ა.შ.) დახმარება (სამხარეო მნიშვნელობის) | | დ | | ს | ს | | | | | | | | | ნ | ნ | ნ | | | | | | | ს | |
| დაუცველი და მოწყვლადი სოციალური ფენების (დაბალშემოსავლიანი, მრავალშვილიანი და ა.შ.) დახმარება (ეროვნული მნიშვნელობის) | | დ | | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | | | ს | ს | ნ |
| ინვალიდთა დახმარება (ადგილობრივი მნიშვ.) | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| ინვალიდთა დახმარება (სამხარეო მნიშვნელობის) | | დ | | ს | ს | | | | | | | | | ნ | ნ | ნ | | | | | | | ს | |
| ინვალიდთა დახმარება (ეროვნული მნიშვნელობის) | | დ | | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | | | ს | ს | ნ |
| უმუშევართა დახმარება (ადგილობრივი მნიშვ.) | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| უმუშევართა დახმარება (სამხარეო მნიშვ.) | | დ | | ს | ს | | | | | | | | | ს | ს | ს | | | | | | | ს | |
| უმუშევართა დახმარება (ეროვნული მნიშვ.) | | დ | | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | | | ს | ს | ნ |
| სოციალური (დიაგნოსტიკური და ზრუნვითი) სერვისები | | | | | | | | | | დ | | ს | ს | | | ნ | | | | | | ს | ს | ს |
| საერთო საპენსიო უზრუნველყოფა | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს |
| პერსონალური და და უწყებრივი პენსიონერების საპენსიო უზრუნველყოფა | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს |
| უსახლკაროების ბინებით უზრუნველყოფა (ადგილობრივი მნიშვნელობის)[3] | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| უსახლკაროების ბინებით უზრუნველყოფა (სამხარეო მნიშვნელობის)[4] | | დ | | ს | ს | | | | | | | | | ნ | ნ | ნ | | | | | | | ს | |
| უსახლკაროების ბინებით უზრუნველყოფა (ეროვნული მნიშვნელობის)[5] | | დ | | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | | | ნ | ნ | ნ |

| კომპეტენცია | თვითმმართველი ერთეული (ქალაქი, თემი) | | | | | | | | მხარე | | | | | | | | ცენტრი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ენერგეტიკა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| ელ.ენერგიის გენერაცია | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |
| ელ.ენერგიის გადაცემა | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |
| ელ.ენერგიის დისპეჩერიზაცია | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |
| ელ.ენერგიის დისტრიბუცია | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| ბუნებრივი აირის მოპოვება | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |
| ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |
| ბუნებრივი აირის დისტრიბუცია | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| ცენტრალკური გათბობის სისტემები | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |

| კომპეტენცია | თვითმმართველი ერთეული (ქალაქი, თემი) | | | | | | | | მხარე | | | | | | | | ცენტრი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგზაო ინფრასტუქტურა და ტრანსპორტი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| საერთაშ. მნიშვნელობის საავტომობილო გზები. | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს |
| მხარეთაშორისი საავტომობილო გზები | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს |
| საავტომობილო გზები თვითმმართველ ერთეულებს შორის | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | ს | |
| ადგილობრივი მნიშვნ. საავტომობილო გზები | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| საერთაშორისო საზოგადოებრივი ავტოტრანს. | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |
| მხარეთაშორისი საზოგადოებრივი ავტოტრანს. | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |
| მუნიციპალიტეტთაშორისი საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტი | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | ს | |
| შიდაადგილობრივი საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტი | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| სარკინიგზო ტრანსპორტი | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |
| მეტროპოლიტენი | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| ტრამვაი | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| ტროლეიბუსი | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| საბაგირო ტრანსპორტი | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| საზღვაო ტრანსპორტი | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |
| საჰაერო ტრანსპორტი | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |

| კომპეტენცია | თვითმმართველი ერთეული (ქალაქი, თემი) | | | | | | | | მხარე | | | | | | | | ცენტრი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სივრცვითი დაგეგმარება და მშენებლობაზე კონტროლი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| ქალაქდაგეგმარება | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| რეგიონალური დაგეგმარება | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | ს | |
| მშენებლობაზე კონტროლი | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |

| კომპეტენცია | თვითმმართველი ერთეული (ქალაქი, თემი) | | | | | | | | მხარე | | | | | | | | ცენტრი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კეთილმოწყობა და კომუნალური სფერო | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| მოსახლეობისაგან მყარი ნარჩენების გატანა | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| საჯარო ადგილებიდან მყარი ნარჩენების გატანა | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| სისუფთავის დაცვის პრევენციული ღონისძიებები | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| ქუჩების დასუფთავება-ჩარეცხვა | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| სანიაღვრე მეურნეობება | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| სასმელი წყლით მომარაგება | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| ტექნიკური წყლით მომარაგება | ე | | | ნ | ნ | ნ | ნ | ნ | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| ადგილობრივი. მელიორაცია | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | | |
| რეგიონ.მელიორაცია | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | ს | |
| ჩამდინარე კომუნალური წყლები | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| გამწვანება, პარკები და ბაღები | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| კეთილმოწყობა და გრეგანათება | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| სასაფლაოები | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |

| კომპეტენცია | თვითმმართველი ერთეული (ქალაქი, თემი) | | | | | | | | მხარე | | | | | | | | ცენტრი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი ამოცანები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| სამოქალაქო რეგისტარცია | | დ | | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | | | ს | ს | ს |
| საზოგადოებრივი წესრიგი | | | ო | ნ | ნ | | | | | | ო | ს | ს | ს | | ს | | | ო | | | | ს | |
| კრიმინალური პოლიცია | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს |
| სახანძრო უსაფრთხოება | ე | | | ს | ს | ს | ს | ს | | | | | | | | | | | | | | | ს | |
| სამოქალაქო თავდაცვა | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს |
| არჩევნების ორგანიზაბა | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს |
| მომხამრებელთა უფლებების დაცვა | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს |
| სტანდარტიზაცია და სერტიფიცირება | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ს | ს | ს | ს | ს |
| ტელეკომუნიკაციები | | | | | | | | | | | | | | | | | ე | | | ნ | ნ | ნ | ს | ნ |

შენიშვნები:

1 - აფინანსების მხოლოდ ნაწილს, ვთქვათ 30%-ს
2. - შეზღუდული სპეციალური შემთხვევებისთვის
3,4,5 – ფორსმაჟორული სიტუაციის გამო უსახლკაროდ დარჩენილები

2.4. თვითმმართველი ერთეულის (ქალაქი, თემი) სავალდებულო და ნებაყოფლობით ექსკლუზიური უფლებამოსილებები

*2.4.1. სავალდებულო ექსკლუზიური უფლებამოსილებები*

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:

- ამბულატორიები
- პირველადი სამედიცინო დახმარება

კულტურის, დასვენებისა და სპროტის სფეროში:

- ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა დაცვა
- ბიბლიოთეკები
- არქივები (თვითმმართველი ერთეულის)
- ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) მნიშვნელობის მუზეუმები

ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სანიტარულ სფეროში:

- თვითმმართველი ერთეულისათვის მიკუთვნებული წყლის და ნიადაგის დაცვა
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყით სარგებლობა
- მიწათსარგებლობა
- სანიტარული დაცვა
- თვითმმართველი ერთეულისათვის მიკუთვნებული წყლის რესურსებით სარგებლობა

სოციალური დაცვის სფეროში:

- უსახლკაროების ბინებით უზრუნველყოფა[3]

საგზაო ინფრასტურქტურის და ტრანსპორტის სფეროში

- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები

სივრცითი დაგეგმარების და მშენებლობაზე კონტროლის სფეროში

- ქალაქდაგეგმარება
- მშენებლობაზე კონტროლი

კეთილმოწყობის და კომუნალურ სფეროში:

- მოსახლეობისაგან მყარი ნარჩენების გატანა,
- საჯარო ადგილებიდან მყარი ნარჩენების გატანა
- სისუფთავის დაცვის პრევენციული ღონისძიებება
- ქუჩების დასუფთავება-ჩარეცხვა
- სანიაღვრე მეურნეობება
- სასმელი წყლით მომარაგება
- მელიორაცია თვითმმართველი ერთეულის ფარგლებში
- კანალიზაცია
- გამწვანება, პარკები და ბაღები
- კეთილმოწყობა და გარეგანათება
- სასაფლაოები

ზოგადი ამოცანების სფეროში:

- სახანძრო უსაფრთხოება

აღნიშნულ სფეროებთან მიმაღთებაში, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის (ქალაქი, თემი) სავალდებულო ექსკლუზიურ კომპეტენციებს წარმოადგენს უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

თვითმმართველი ერთეულის (ქალაქი, თემი) ხელისუფლების ორგანოები: ადმინისტრაციული, მომსახურებითი, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილებები სავალდებულოა

ცენტრალური ხელისუფლება: ზოგად მარეგულირებელი კომპეტენცია სავალდებულოა

### *2.4.2. ნებაყოფლობითი ექსკლუზიური უფლებამოსილებები*

განათლების სფეროში:

- სკოლამდელი აღზრდა

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:

- ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) მნიშვნელობის საავადმყოფოები
- საოჯახო მედიცინა

კულტურის, დასვენებისა და სპროტის სფეროში:

- საკლუბო დაწესებულებები
- ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) მნიშვნელობის თეატრები
- კინოთეატრები
- ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) მნიშვნელობის გამოფენები
- ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) მნიშვნელობის სპორტული დაწესებულებები
- ფიზიკური კულტურა
- სპეციალიზირებული (სახელოვნობო, სპორტული) სკოლები

სოციალური დაცვის სფეროში:

- უმწეოთა (მოხუცები და ა.შ.) დახმარების დამატებით ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) პროგრამები
- დაუცველი სოციალური ფენების (დაბალშემოსავლიანი, მრავალშვილიანი და ა.შ.) დახმარების დამატებით ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) პროგრამები
- ინვალიდთა დახმარების დამატებით ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) პროგრამები
- უმუშევართა დახმარების დამატებით ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) პროგრამები

ენერგეტიკის სფეროში:

- ელ.ენერგიის დისტრიბუცია
- ბუნებრივი აირის დისტრიბუცია
- ცენტრალური გათბობის სისტემები

საგზაო ინფრასტურქტურის და ტრანსპორტის სფეროში

- ადგილობრივი (თვითმმართველი ერთეულის) მნიშვნელობის საზოგადოებრივი საავტომობილო ტრანსპორტი
- მეტროპოლიტენი
- ტრამვაი
- ტროლეიბუსი
- საბაგირო ტრანსპორტი

კეთილმოწყობის და კომუნალურ სფეროში:

- ტექნიკური წყლით მომარაგება

აღნიშნულ სფეროებთან მიმართებაში, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის (ქალაქი, თემი) ნებაყოფლობით ექსკლუზიურ კომპეტენციებს წარმოადგენს უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

თვითმმართველი ერთეულის (ქალაქი, თემი) ხელისუფლების ორგანოები: ადმინისტრაციული, მომსახურებითი, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილებები

ნებაყოფლობითია, ამასთან თუ თვითმმართველი ერთეული გადაწყვეტს აღნიშნული კომპეტენციების განხორციელებას, მაშინ იგი პასუხისმგებელია ხუთივე უფლებამოსილებაზე.

ცენტრალური ხელისუფლება: ზოგად მარეგულირებელი კომპეტენცია სავალდებულოა

## 2.5. მხარის სავალდებულო და ნებაყოფლობით ექსკლუზიური უფლებამოსილებები

### *2.5.1. სავალდებულო ექსკლუზიური უფლებამოსილებები*

განათლების სფეროში:

- სკოლა-ინტერნატები

კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროში:

- სამხარეო მნიშვნელობის ბიბლიოთეკები
- სამხარეო მნიშვნელობის არქივები
- სამხარეო მნიშვნელობის მუზეუმები

ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სანიტარულ სფეროში:

- მხარისთვის მიკუთვნებული წყლის და ნიადაგის დაცვა
- სამხარეო მნიშვნელობის ტყით სარგებლობა
- მყარი ნარჩენების დეპონიორება
- მყარი ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია
- საკანალიზაციო ნარჩენების გასუფთავება და უტილიზაცია
- სამხარეო მნიშვნელობის წიაღისეული
- სამხარეო მნიშვნელობის წყლის რესურსები

საგზაო ინფრასტურქტურის და ტრანსპორტის სფეროში

- საავტომობილო გზები თვითმმართველ ერთეულებს შორის

სივრცითი დაგეგმარების და მშენებლობაზე კონტროლის სფეროში:

- რეგიონალური დაგეგმარება

კეთილმოწყობის და კომუნალურ სფეროში:

- სამხარეო მნიშვნელობის მელიორაცია

აღნიშნულ სფეროებთან მიმართებაში, რომლებიც მხარის სავალდებულო ექსკლუზიურ კომპეტენციებს წარმოადგენს უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

მხარის ხელისუფლების ორგანოები: ადმინისტრაციული, მომსახურებითი, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილებები სავალდებულოა.

ცენტრალური ხელისუფლება: ზოგად მარეგულირებელი კომპეტენცია სავალდებულოა.

### *2.5.2. ნებაყოფლობით ექსკლუზიური უფლებამოსილებები*

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:

- სამხარეო მნიშვნელობის საავადმყოფოები

კულტურის, დასვენებისა და სპროტის სფეროში:

- სამხარეო მნიშვნელობის თეატრები

- სამხარეო მნიშვნელობის გამოფენები
- სამხარეო მნიშვნელობის სპორტული დაწესებულებები

საგზაო ინფრასტურქტურის და ტრანსპორტის სფეროში

- თვითმმართველ ერთეულებს შორისი საზოგადოებრივი საავტომობილო ტრანსპორტი

აღნიშნულ სფეროებთან მიმართებაში, რომლებიც მხარის ნებაყოფლობით ექსკლუზიურ კომპეტენციებს წარმოადგენს უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

მხარის ხელისუფლების ორგანოები: ადმინისტრაციული, მომსახურებითი, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილებები ნებაყოფლობითია.

ცენტრალური ხელისუფლება: ზოგად მარეგულირებელი კომპეტენცია სავალდებულოა.

## 2.6. დელეგირებულ უფლებამოსილებები

### *2.6.1. თვითმმართველი ერთეულისთვის (ქალაქი, თემი) ცენტრალური ხელისუფლებისგან დელეგირებული უფლებამოსილებები*

განათლების სფეროში:

- დაწყებითი განათლება
- საბაზო განათლება
- საშუალო განათლება

განათლების აღნიშნულ სფეროებთან მიმართებაშითვითმმართველი უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო.

თვითმმართველი ერთეულისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო, დაფინანსების და საინვესტიციო ნებაყოფლობითი.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:

- პროფილაქტიკა

ჯანმრთელობის დაცვის აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: დაფინანსების და მარეგულირებელი უფლებამოსილება არის სავალდებულო, საინვესტიციო კი ნებაყოფლობითი

თვითმმართველი ერთეულისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო, დაფინანსებისა ნებაყოფლობითი.

სოციალური დაცვის სფეროში:

- უმწეოთა (მოხუცები და ა.შ.) დახმარება (ცენტ)
- დაუცველი სოციალური ფენების (დაბალშემოსავლიანი, მრავალშვილიანი და ა.შ.) დახმარება (ცენტ)
- ინვალიდთა დახმარება (ცენტრ)
- უმუშევართა დახმარება (ცენტრ)

სოციალური დაცვის აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: დაფინანსების და მარეგულირებელი უფლებამოსილება არის სავალდებულო, საინვესტიციო ნებაყოფლობითი.

თვითმმართველი ერთეულისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო.

- უსახლკაროების ბინებით უზრუნველყოფა (ცენტ)[4]

სოციალური დაცვის აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის ნებაყოფლობითი

თვითმმართველი ერთეულისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო.

ზოგადი ამოცანების სფეროში:

- სამოქალაქო რეგისტრაცია

აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო

### *2.6.2. თვითმმართველი ერთეულისთვის (ქალაქი, თემი) სამხარეო ხელისუფლებისგან დელეგირებულ უფლებამოსილებები*

სოციალური დაცვის სფეროში:

- უმწეოთა (მოხუცები და ა.შ.) დახმარება (რეგ)
- დაუცველი სოციალური ფენების (დაბალშემოსავლიანი, მრავალშვილიანი და ა.შ.) დახმარება (რეგ)
- ინვალიდთა დახმარება (რეგ)

სოციალური დაცვის აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

სამხარეო ხელისუფლებისათვის: დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის ნებაყოფლობითი

თვითმმართველი ერთეულისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო.

- უმუშევართა დახმარება (რეგ)

სოციალური დაცვის აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

სამხარეო ხელისუფლებისათვის: დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო.

თვითმმართველი ერთეულისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო.

- უსახლკაროების ბინებით უზრუნველყოფა (რეგ)[4]

სოციალური დაცვის აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

სამხარეო ხელისუფლებისათვის: დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის ნებაყოფლობითი

თვითმმართველი ერთეულისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო.

### *2.6.3. მხარისათვის ცენტრალური ხელისუფლებისგან დელეგირებული უფლებამოსილებები*

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:

- სზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთან მიმართებაში უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: დაფინანსების და მარეგულირებელი უფლეაბმოსილება არის სავალდებულო, საინვესტიციო ნებაყოფლობითი

სამხარეო ხელისუფლებისათვის: მომსახურებითი და ადმინისტრაციული უფლებამოისლებები სავალდებულოა.

სოციალური დაცვის სფეროში:

- სოციალური (დიაგნოსტიკური და ზრუნვითი) სერვისები

სოციალური დაცვის სფეროსთან მიმართებაში უფლებამოსილებები შემდეგნაირად იმიჯნება:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

სამხარეო ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო, საინვესტიციო ნებაყოფლობითი

### *2.6.4. თვითმმართველი ერთეულისთვის (ქალაქი, თემი) და მხარისათვის ცენტრალური ხელისუფლებისგან დელეგირებული უფლებამოსილებები*

ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სანიტარულ სფეროში:

- ვეტერინარია

აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

სამხარეო და თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლებათათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო

## 2.7. საერთო კომპეტენციები

### *2.7.1. ცენტრსა და მხარეს შორის საერთო კომპეტენციები*

განათლების სფეროში:

- სპეციალიზებული და ტექნიკური საშუალო განათლება

განათლების სფეროსთან მიმართებაში უფლებამოსილებების შემდეგნაირად იმიჯნება:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: დაფინანსების და საინვესტიციო უფლეაბმოსილება არის ნებაყოფლობითი, მარეგულირებელი სავალდებულო

სამხარეო ხელისუფლებისათვის: მომსახურებითი, ადმინისტრაციული, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოისლებები ნებაყოფლობითია.

უფლებამოსილების დეტალური გამიჯვნა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:

- სპეციალური მედიცინა
- ჯანდაცვის პოლიტიკის დაგეგმვა და კონტროლი

აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული, მომსახურებითი, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

სამხარეო ხელისუფლებათათვის: ადმინისტრაციული, მომსახურებითი, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

უფლებამოსილების დეტალური გამიჯვნა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

კულტურის, დასვენებისა და სპროტის სფეროში:

- სპეციალიზებული სკოლები

რომელთან მიმართებაში უფლებამოსილებების შემდეგნაირად იმიჯნება:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: დაფინანსების და საინვესტიციო უფლეაბმოსილება არის ნებაყოფლობითი, მარეგულირებელი სავალდებულო

სამხარეო ხელისუფლებისათვის: მომსახურებითი, ადმინისტრაციული, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოისლებები ნებაყოფლობითია.

უფლებამოსილების დეტალური გამიჯვნა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

### *2.7.2. მხარესა და თვითმმართველ ერთეულს შორის საერთო კომპეტენციები*

ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სანიტარულ სფეროში:

- წიაღისეული (ადგილობრივი გავრცელების რესურსები)

აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: ზოგად მარეგულირებელი კომპეტენცია სავალდებულოა

სამხარეო ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული, მომსახურებითი, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული, მომსახურებითი, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

უფლებამოსილების დეტალური გამიჯვნა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

### *2.7.3. ცენტრსა და თვითმმართველ ერთეულს შორის საერთო კომპეტენციები*

???

### *2.7.4. ცენტრს, მხარესა და თვითმმართველ ერთეულს შორის საერთო კომპეტენციები*

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:

- სამედიცინო სტატისტიკის წარმოება

აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული, მომსახურებითი, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

სამხარეო ხელისუფლებათათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო

თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლებათათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო

ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სანიტარულ სფეროში:

- სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია

ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სანიტარულ სფეროს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

სამხარეო ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული და დაფინანსების უფლებამოსილება არის სავალდებულო, საინვესტიციო და მომსახურებითი კი ნებაყოფლობითი

თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის სავალდებულო, დაფინანსების და საინვესტიციო კი ნებაყოფლობითი

- ზოგადად გარემოს დაცვის ღონისძიებები

ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სანიტარულ სფეროს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

სამხარეო ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო

ზოგადი ამოცანების სფეროში:

- საზოგადოებრივი წესრიგი

აღნიშნულ სფეროსთან მიმართებაში:

ცენტრალური ხელისუფლებისათვის: მარეგულირებელი უფლებამოსილება არის სავალდებულო

სამხარეო ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული, მომსახურებითი, დაფინანსების და საინვესტიციო უფლებამოსილება არის სავალდებულო.

თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლებისათვის: ადმინისტრაციული და მომსახურებითი უფლებამოსილება არის ნებაყოფლობითი

## 3. მმართველობის სისტემები

*მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თავისნი ადგილობრივნი საქმენი აქვს ხელშეუვლად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრიბთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას (დეცენტრალიზაცია) უწოდებენ... ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.*

*ილია*

### 3.1. თვითმმართველი ერთეულების ხელისუფლების ორგანოები

მმართველობის სისტემა თვითმმართველ ერთეულში.

თვითმმართველ ერთეულის ხელისუფლების ორგანოები არიან წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო და აღმასრულებელი ორგანო მერია (ქალაქებში) და გამგეობა (თემებში)

ქალაქში აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელია - მერი

თემში აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელია - გამგებელი

#### *3.1.1. თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო*

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, რომელიც შედგება შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული ერთადერთი გადასაცემის ხმის სისტემით, 3 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.

ამასთან საკრებულოს უფლებამოსილების პერიოდში მისი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის დროს აირჩევა ახალი საკრებულოს წევრი, რისთვისაც ახლად არცეული საკრებულოს წევრები თავიდანვე მიუთითებენ საარჩევნო უბანს, სადაც მოხდება მათი ადგილმონაცვლის არჩევა.

საკრებულოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის რაოდენობით:

- 5000-მდე მოსახლეობა - 15 საკრებულოს წევრი
- 10 000-მდე მოსახლეობა - 17 საკრებულოს წევრი
- 30 000-მდე მოსახლეობა - 19 საკრებულოს წევრი
- 50.000-მდე მოსახლეობა - 21 საკრებულოს წევრი
- 100 000-მდე მოსახლეობა - 25 საკრებულოს წევრი
- 300 000-მდე მოსახლეობა - 35 საკრებულოს წევრი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს თანამდებობის პირები არიან:

- საკრებულოს თავმჯდომარე;
- საკრებულოს მდივანი;
- საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე
- საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე

საკრებულოს წევრები და თანამდეობის პირები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ უსასყიდლოდ. თანამდეობის პირთა მიერ შესრულებული კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება.

*საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება:*

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ვადებში ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება, კონტროლი ბიუჯეტის შესრულებაზე და მისი შეფასება;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამების დამტკიცება და კონტროლი მათ შესრულებაზე;
- საქართველოს კანონის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათზე შეღავათების დაწესება;
- საქართველოს კანონის შესაბამისად ზიარ გადასახადების მისთვის კუთვნილი განაკვეთის დადგენა;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობაზე, მათი ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა და შეფასება;
- საკრებულოს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა და გადარჩევა;
- საკრებულოს კომისიების შექმნა, კომისიათა თავმჯდომარეების არჩევა და გადარჩევა, კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;
- გადაწყვეტილების მიღება საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ორგანოთა დებულებების მიღება, მათში ცვლილებების შეტანა და მათი შესრულების კონტროლი;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის წესების დადგენა;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადგილობრივი სამსახურებისა და შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების შექმნა, მათი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სავალდებულო და ნებაყოფლობითი ექსკლუზიური კომპეტენციების განხორციელებასთან დაკავშირებული პროგრამების დამტკიცება.
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სავალდებულო და ნებაყოფლობითი ექსკლუზიური კომპეტენციების განხორციელებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი უფლებამოსილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისთვის დელეგირებული და საერთო კომპეტენციებში და შესაბამისი უფლებამოისლებები ფარგლებში პროგრამების და პროექტების დამტკიცება.
- თვითმმართველი ერთეულის სახელით დადებული შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დამტკიცება.

საკრებულოს საქმიანობის წესი და თანამდებობის პირები

*საკრებულოს თავმჯდომარე*

საკრებულოს წევრები ირჩევენ თავმჯდომარეს საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა და გადარჩევა ხდება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე:

- იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს, წარმართავს და დახურულად აცხადებს საკრებულოს სხდომას, მათ შორის, რიგგარეშეს;
- უძღვება სხდომაზე საკითხების განხილვას;
- უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით დადგენილი შესაბამისი პროცედურების დაცვას;
- ადგენს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თანამიმდევრობის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;
- აყენებს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
- კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების მუშაობას;

- წარმოადგენს საკრებულოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
- უზრუნველყოფს საკრებულოს და საკრებულოს წევრთა უფლებების დაცვას;
- საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეთა წარდგინებით საკრებულოს კომისიებში იწვევს ექსპერტებსა და სპეციალისტებს; დებს და აუქმებს მათთან ხელშეკრულებებს; საერთო ხელმძღვანელობას უწევს კომისიებში მოწვეულ პირთა საქმიანობას;
- ხელს აწერს საკრებულოს გადაწყვეტილებებს, დადგენილებებსა და სხდომის ოქმებს;
- საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისა და საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს-განკარგულებას;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულო თავის წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულოს მდივანს საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

საკრებულოს მდივანი ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას. საკრებულოს მდივანი თავმჯდომარის ან საკრებულოს დავალებით ახორციელებს ფუნქციებს საკრებულოს დებულებით დადგენილი წესითა და ფარგლებში.

### *საკრებულოს სხდომის მუშაობის ორგანიზაცია*

საკრებულოს ახალი შემადგენლობის პირველ სხდომას იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ადგილობრივი არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოცხადების დღიდან ორი კვირის ვადაში, თუ საკრებულოს შემადგენლობაში არჩეულია წევრთა 2/3 მაინც. საკრებულოს სხდომებს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს უხუცესი წევრი.

საკრებულოს მორიგ სხდომებს, სამ თვეში ერთხელ მაინც, იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

- გამგებლის (მერის) წინადადებით;
- საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით;
- ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1/5-ის მოთხოვნით.
- საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას მოთხოვნის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ რიგგარეშე სხდომის ერთი კვირის ვადაში მოუწვევლობის შემთხვევაში საკრებულო უფლებამოსილია შეიკრიბოს. საკრებულოს წევრთა გაფრთხილებას რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე ინიციატორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოფს აპარატის უფროსი. საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით. რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარისა და მდივნის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობს სხდომაზე დამსწრეთაგან უხუცესი წევრი.

### *საკრებულოში საკითხების განხილვის წესი*

საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუკი საკრებულოს სხდომას ესწრება მის წევრთა ნახევარი მაინც, თუ ამ კანონით სხვა წესი არ არის დადგენილი.

საკრებულოს სხდომები ტარდება ღიად და საჯაროდ.

საკრებულოს სხდომა დახურულად ცხადდება:

- საკრებულოს გადაწყვეტილებით;
- თუ სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მონაცემების გახმაურება აკრძალული ან შეზღუდულია კანონით.

*საკრებულოს სხდომაზე კენჭისყრის წესი*

საკრებულოს სხდომაზე მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები წყდება, როგორც წესი, ღია კენჭისყრით. ფარული კენჭისყრა ტარდება პერსონალური და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტის დროს. საკრებულოს დადგენილებით ფარული კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს სხვა საკითხებზედაც.

საკრებულოს გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა წესი არ არის დადგენილი.

*საკრებულოს სხდომის ოქმი*

საკრებულოს სხდომის ოქმში შეიტანება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, დამსწრეთა გვარები, განსახილველი და განხილული საკითხები, მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე დამსწრეთა განსაკუთრებული მოსაზრებები.

საკრებულოს სხდომის ოქმს ხელს აწერენ საკრებულოს თავმჯდომარე და მდივანი.

საკრებულოს სხდომის ოქმი უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული დოკუმენტაციისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

*საკრებულოს კომისიები*

საკრებულო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შექმნას კომისია თავისი უფლებამოსილების ვადით ან დროებით.

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები აირჩევიან საკრებულოს წევრთაგან. კომისიების წევრებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო. კომისიის წევრი შეიძლება არ იყოს საკრებულოს წევრი.

საკრებულოს კომისიების საქმიანობის წესი განისაზღვრება საკრებულოს დებულებით, კანონმდებლობის შესაბამისად.

*საკრებულოს წევრის სტატუსი*

საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და გარანტიები განისაზღვრება საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

- პირადი განცხადებით მოეხსნა უფლებამოსილება;
- არჩეულია ან დანიშნულია ზვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს - გამგეობის (მთავრობის) წევრად;
- მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;
- არასაპატიო მიზეზით ექვსი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში;
- გარდაიცვალა.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს საკრებულო იღებს ცნობად.

### *3.1.2. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო*

თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოებს წარმოადგენს გამგეობა თემებში და მერია ქალაქებში.

თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოების ხელმძღვანელებს წარმოადგენს გამგებელი თემში და მერი ქალაქი

თემის გამგებელი ან ქალაქის მერი აირჩევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით;

გამგებელი (მერი) საკრებულოსთან შეთანხმებით ნიშნავს გამგეობის (მერიის) წევრებს. გამგეობის (მერიის) წევრთა რაოდენობა განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის შესაბამისად

- 10 000-მდე მოსახლეობა - არაუმეტეს 7 წევრი
- 50 000-მდე მოსახლეობა - არაუმეტეს 10 წევრი
- 100 000-მდე მოსახლეობა - არაუმეტეს 15 წევრი
- 300 000-მდე მოსახლეობა - არაუმეტეს 19 წევრი
- 300 000-ის ზევით მოსახლეობა - არაუმეტეს 21 წევრი

გამგეობის (მერიის) წევრები არიან გამგებელი (მერი), გამგებლის (მერის) პირველი მოადგილე, გამგებლის (მერის) მოადგილე (მოადგილეები), ადგილობრივი სამსახურების ხელმძღვანელები და აპარატის უფროსი.

გამგეობის (მერიის) სტრუქტურასა და დებულებას გამგებლის (მერის) წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

*გამგეობის (მერიის) უფლებამოსილებას განეკუთვნება:*

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულება;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების პროექტების მომზადება, წინასწარი განხილვა და დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელება;
- ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, წინასწარი განხილვა და დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულება; საჭიროების შემთხვევაში, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების შედგენა და საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების ორგანიზების შესახებ წინადადებების მომზადება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოსათვის წარსადგენად;
- საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ადგილობრივ ორგანოებს დაქვემდებარებული ქონებით სარგებლობა და განკარგვა;
- ადგილობრივი სამსახურების შექმნასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება, საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; გამგებლის (მერის) წარდგინებით მათ ხელმძღვანელთა დანიშვნა-გათავისუფლება და მათი საქმიანობის კონტროლი;
- თვითმმართველი ერთეულის სავალდებულო და ნებაყოფლობითი ექსკლუზიური უფლებამოისლერბებებთან დაკავშირებული მომსახურებითი, ადმინისტრაციული, დაფინანსების და საინვესტიციო უფლებამოისლებების განხორცილება საკრებულოს მიერ დადგენილი რეგულაციების ფარგლებში.
- თვითმმართველი ერთეულისთვის დელეგირებულ კომპეტენციებთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელება.

გამგეობის (მერიის) სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება გამგეობის (მერიის) წევრთა ნახევარი მაინც. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, თუ კანონით ან დებულებით სხვა წესი არ არის დადგენილი.

გამგეობის (მერიის) წევრთა კანდიდატურებს გამგებელი (მერი) არჩევიდან ორი კვირის ვადაში შესათანხმებლად წარუდგენს საკრებულოს. თუ საკრებულომ არ მისცა თანხმობა გამგეობის (მერიის)

წევრის კანდიდატურის დანიშვნაზე, გამგებელი (მერი) უფლებამოსილია ხელახლა წარადგინოს იგივე ან ახალი კანდიდატურა. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება წარდგენილ იქნეს ორჯერ. თუ საკრებულომ ერთი თვის ვადაში გამგეობის (მერიის) წევრის კანდიდატურის დანიშვნას არ მისცა თანხმობა, გამგებელი (მერი) არა უმეტეს ექვსი თვის ვადით შესაბამის თანამდებობაზე ნიშნავს მოვალეობის შემსრულებელს.

გამგეობის (მერიის) წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება:

- სამსახურიდან გათავისუფლებისას;
- თანამდებობიდან გადადგომისას;
- საკრებულოს მიერ უნდობლობის გამოცხადებისას;
- მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობის, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადებისას;
- საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისას;
- გარდაცვალებისას;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას.

გამგებელი (მერი) წარმოადგენს აღმასრულებელი ორგანოს მეთაურს.

*გამგებელი (მერი):*

- უძღვება გამგეობის (მერიის) საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის (მერიის) წევრებს შორის, იწვევს და თავმჯდომარეობს გამგეობის (მერიის) სხდომებს, წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგენს საკრებულოს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;
- ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენას, წარუდგენს საკრებულოს დასამტკიცებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს და საანგარიშო წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას; ამზადებს წინადადებებს ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.
- საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური და მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებებთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებების პროექტებს.
- გამგეობის საქმიანობიდან გამომდინარე შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს; უზრუნველყოფს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;
- უფლებამოსილია საკრებულოს გადაწყვეტილებების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში შესაბამისი შენიშვნებით დააბრუნოს საკითხი საკრებულოში ხელახლა განსახილველად;
- ხელს აწერს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის სახელით დადებულ ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, წარმოადგენს და მოქმედებს ამ ერთეულის სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;
- ხელს აწერს გამგეობის (მთავრობის) დადგენილებებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და საკრებულოს მიერ განსაზღვრული წესით ორგანიზაციას უწევს და უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების გადაწყვეტას;
- წარუდგენს საკრებულოს წინადადებებს ადგილობრივი სამსახურების და შესაბამისი საწარმოების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ, უზრუნველყოფს ლიკვიდირებულ საწარმოთა დაცვასა და შენახვას;
- შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის (მერიის) სტრუქტურას და პერსონალურ შემადგენლობას, ამტკიცებს გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და ადგილობრივი სამსახურების დებულებებს;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, აპარატის უფროსის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის თანამშრომლებს, აფორმებს შრომის ხელშეკრულებებს მოწვეულ სპეციალისტებთან და ექსპერტებთან;

- თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის (მერიის) წევრებს; იღებს გამგეობის (მერიის) ცალკეულ წევრთა განცხადებას გადადგომის შესახებ; გამგეობის (მერიის) წევრებს აკისრებს თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულებას გამგეობის (მერიის) ახალი წევრის დამტკიცებამდე;
- საკრებულოს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში შესაბამისი შენიშვნებით ხელახლა განსახილველად აბრუნებს საკითხს საკრებულოში;
- აჩერებს ან აუქმებს ადგილობრივი სამსახურების ხელმძღვანელთა ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;
- უზრუნველყოფს საკრებულოსა და გამგეობის (მერიის) მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულებას;
- მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის კომისიებსა და საკონსულტაციო ორგანოებს; ამტკიცებს მათ სამოქმედო დებულებებს;
- გამგეობის (მერიის) საქმიანობიდან გამომდინარე შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს;
- ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს და ფინანსურ დოკუმენტებს;
- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და განკარგულებებს;
- მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წინადადებით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხი, ესწრება საკრებულოს, საკრებულოს კომისიების ღია და დახურულ სხდომებს. იგი უფლებამოსილია ჰყავდეს მუდმივი წარმომადგენელი საკრებულოში;
- პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობაზე; პერიოდულად ისმენს მთავრობის წევრებისა და სამსახურების ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;
- ახორციელებს საკრებულოსა და მთავრობის შესაბამისი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- ანგარიშვალდებულია ქალაქის საკრებულოს წინაშე საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში;
- თვითმმართველი ერთეულის გამგებლის (მერის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარე აცნობებს საქართველოს პრეზიდენტს და ცენტრალურ სააალცევნო კომისიას, ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს მერის რიგგარეშე არჩევნებს არაუგვიანეს 3 თვისა. თუ მერის კანონით დადგენილ მორიგ არჩევნებამდე დარჩენილია სამ თვეზე ნაკლები, რიგგარეშე არჩევნები არ ინიშნება და მერის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე.

გამგებელს (მერს) აქვს თანამდებობიდან გადადგომის უფლება. გამგებლის (მერის) თანამდებობიდან გადადგომა ან განთავისუფლება იწვევს შესაბამისი გამგეობის (მერიის) გადადგომას. გამგეობის (მერიის) წევრები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ გამგეობის (მერიის) ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

*გამგებლის (მერის) პირველი მოადგილე და მოადგილე (მოადგილეები)*

გამგებლის (მერის) პირველი მოადგილის გამგეობის (მერიის) კომპეტენციები ისაზღვრება გამგეობის (მერიის) დებულებით და გამგებლის (მერის სპეციალური დავალებებით) თუ გამგებელს (მერს) დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება, ან გამგებლის (მერის) დავალებით ასრულებს გამგებლის (მერის) მოვალეობებს.

გამგებლის (მერის) მოადგილის (მოადგილეების) კომპეტენციები ისაზღვრება გამგეობის (მერიის) დებულებით და გამგებლის (მერის სპეციალური დავალებებით).

### *3.1.3. მმართველობის ფორმა თემში შემავალ დასახლებებში*

ისეთ თემში, სადაც ერთ დასახლებაზე მეტია, ყველა დასახლებულ პუნქტში (გარდა თემის ცენტრისა და იმ დასახლებისა სადაც მოსახლეობა 50 კაცზე ნაკლებია) აირჩევა მამასახლისი. თუ მოსახლეობა 50-ზე ნაკლებია, თემის ხელისუფლების ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებას მამასახლისის არჩევა/შერჩევასთან დაკავშირებით.

მამასახლისი აირჩევა პირდაპირი წესით.

თემის ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით მამასახლისს შესაძლებელია დაენიშნოს შრომის ანაზღაურება.

მამასახლისის ფარული კენჭისყრით არჩევის ორგანიზებას ახორციელებენ თემის ხელისუფლების ორგანოები.

ისეთ დასახლებაში, სადაც მოსახლეობა 100 კაცს აღემატება მამასახლისსი გარდა აირჩევა საზოგადოებრივი საბჭო არანაკლებ 3 კაცისა და არაუმეტეს 15 კაცისა. დასახლებაში 100 კაცზე ნაკლები მოსახლით საზოგადოებრივი საბჭოს არჩევა ნებაყოფლობითია. საზოგადოებრივი საბჭოს წევრები არ იღებენ შრომის ანაზღაურებას.

ქალაქი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება დაყოს უბნებად და დანიშნოს უბნის ხელმძღვანელი და მისი სამსახური.

საქართველოს დედაქალაქის - თბილისის უბნები წარმოადგენენ თვითმმართველობებს, სადაც ფუნქციონირებს არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები. მათი სტრუქტურა და საქმიანობის წესი რეგულირდება კანონით “საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ”.

## 3.2. მხარის ხელისუფლების ორგანოები

მხარის ხელისუფლების ორგანოები არიან წარმომადგენლობითი ორგანო - საბჭო და აღმასრულებელი ორგანო მთავრობა.

მხარის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელია - მხარის მმართველი.

### *3.2.1. მხარის წარმომადგენლობითი ორგანო*

მხარის წარმომადგენლობითი ორგანოა მხარის საბჭო, რომელიც შედგება შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, პარტიული პროპორციული სისტემით 4 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.

მხარის საბჭო აირჩევა პროპორციული, პარტიული არჩევნებით საბჭოში შესვლის მინიმალური ბარიერის გარეშე.

მხარის საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ვადებში მხარის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება, კონტროლი ბიუჯეტის შესრულებაზე და მისი შეფასება;
- მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამების დამტკიცება და კონტროლი მათ შესრულებაზე;
- საქართველოს კანონის შესაბამისად ზიარ გადასახადების მისტთვის კუთვნილი განაკვეთის დადგენა
- მხარის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობაზე, მათი ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა და შეფასება;
- საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა და გადარჩევა;
- საბჭოს შემადგენლობიდან მხარის მმართველის არჩევა და გადარჩევა
- საბჭოს კომისიების შექმნა, კომისიათა თავმჯდომარეების არჩევა და გადარჩევა, კომისიათა პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;
- გადაწყვეტილების მიღება საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;
- მხარის ორგანოთა დებულებების მიღება, მათში ცვლილებების შეტანა და მათი შესრულების კონტროლი;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მხარის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის წესების დადგენა;

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამხარეო სამსახურებისა და შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების შექმნა, მათი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- მხარის სავალდებულო და ნებაყოფლობითი ექსკლუზიური კომპეტენციების განხორციელებასთან დაკავშირებული პროგრამების დამტკიცება.
- მხარის სავალდებულო და ნებაყოფლობითი ექსკლუზიური კომპეტენციების განხორციელებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი უფლებამოსილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება
- მხარისთვის დელეგირებული და საერთო კომპეტენციებში და შესაბამისი უფლებამოისლებები ფარგლებში პროგრამების დამტკიცება.
- მხარის სახელით დადებული შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დამტკიცება.

## საბჭოს საქმიანობის წესი და თანამდებობის პირები

### *საბჭოს თავმჯდომარე*

საბჭოს წევრები ირჩევენ თავმჯდომარეს საბჭოს უფლებამოსილების ვადით. საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და გადარჩევა ხდება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

საბჭოს თავმჯდომარე:

- იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს, წარმართავს და დახურულად აცხადებს საბჭოს სხდომას, მათ შორის, რიგგარეშეს;
- უძღვება სხდომაზე საკითხების განხილვას;
- უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და საბჭოს დებულებით დადგენილი შესაბამისი პროცედურების დაცვას;
- ადგენს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თანამიმდევრობის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საბჭოს დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;
- აყენებს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
- კოორდინაციას უწევს საბჭოს კომისიების მუშაობას;
- წარმოადგენს საბჭოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
- უზრუნველყოფს საბჭოს და საბჭოს წევრთა უფლებების დაცვას;
- საბჭოს კომისიების თავმჯდომარეთა წარდგინებით საბჭოს კომისიებში იწვევს ექსპერტებსა და სპეციალისტებს; დებს და აუქმებს მათთან ხელშეკრულებებს; საერთო ხელმძღვანელობას უწევს კომისიებში მოწვეულ პირთა საქმიანობას;
- ხელს აწერს საბჭოს გადაწყვეტილებებს, დადგენილებებსა და სხდომის ოქმებს;
- საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისა და საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს-განკარგულებას;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და საბჭოს დებულებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით საბჭო თავის წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს მდივანს საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

საბჭოს მდივანი ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას. საბჭოს მდივანი თავმჯდომარის ან საბჭოს დავალებით ახორციელებს ფუნქციებს საბჭოს დებულებით დადგენილი წესითა და ფარგლებში.

### *საბჭოს სხდომის მუშაობის ორგანიზაცია*

საბჭოს ახალი შემადგენლობის პირველ სხდომას იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოცხადების დღიდან ორი კვირის ვადაში, თუ საბჭოს

შემადგენლობაში არჩეულია წევრთა 2/3 მაინც. საბჭოს სხდომებს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საბჭოს უხუცესი წევრი.

საბჭოს მორიგ სხდომებს, სამ თვეში ერთხელ მაინც, იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

- მხარის მმართველის წინადადებით;
- საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით;
- ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1/5-ის მოთხოვნით.
- საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით.

საბჭოს რიგგარეშე სხდომას მოთხოვნის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში იწვევს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარის მიერ რიგგარეშე სხდომის ერთი კვირის ვადაში მოუწვევლობის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია შეიკრიბოს. საბჭოს წევრთა გაფრთხილებას რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე ინიციატორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოფს აპარატის უფროსი. საბჭოს დებულებით დადგენილი წესით. რიგგარეშე სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს სხდომაზე დამსწრეთაგან უხუცესი წევრი.

*საბჭოში საკითხების განხილვის წესი*

საბჭოს უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუკი საბჭოს სხდომას ესწრება მის წევრთა ნახევარი მაინც, თუ ამ კანონით სხვა წესი არ არის დადგენილი.

საბჭოს სხდომები ტარდება ღიად და საჯაროდ.

საბჭოს სხდომა დახურულად ცხადდება:

- საბჭოს გადაწყვეტილებით;
- თუ სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მონაცემების გახმაურება აკრძალული ან შეზღუდულია კანონით.

*საბჭოს სხდომაზე კენჭისყრის წესი*

საბჭოს სხდომაზე მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები წყდება, როგორც წესი, ღია კენჭისყრით. ფარული კენჭისყრა ტარდება პერსონალური და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტის დროს. საბჭოს დადგენილებით ფარული კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს სხვა საკითხებზედაც.

საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა წესი არ არის დადგენილი.

*საბჭოს სხდომის ოქმი*

საბჭოს სხდომის ოქმში შეიტანება სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, დამსწრეთა გვარები, განსახილველი და განხილული საკითხები, მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე დამსწრეთა განსაკუთრებული მოსაზრებები.

საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს სხდომის ოქმი უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული დოკუმენტაციისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

*საბჭოს კომისიები*

საბჭო თავისი უფლებამოისლების ვადით ქმნის მუდმივ კომისიებს, ასევე უფლებამოისლია შექმნას დროებითი კომისია.

საბჭოს კომისიების თავმჯდომარეები აირჩევიან საბჭოს წევრთაგან. კომისიების წევრებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საბჭოს კომისიის წევრი შეიძლება არ იყოს საბჭოს წევრი.

საბჭოს კომისიების საქმიანობის წესი განისაზღვრება საბჭოს დებულებით, კანონმდებლობის შესაბამისად.

*საბჭოს წევრის სტატუსი*

საბჭოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული საბჭოს პირველი შეკრებისთანავე ან საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

საბჭოს წევრის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და გარანტიები განისაზღვრება საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

- პირადი განცხადებით მოეხსნა უფლებამოსილება;
- არჩეულია ან დანიშნულია მხარის აღმასრულებელი ორგანოს - მთავრობის წევრად;
- მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;
- არასაპატიო მიზეზით ექვსი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საბჭოს მუშაობაში;
- გარდაიცვალა.

საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს საბჭოს იღებს ცნობად.

საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება მხარის მოსახლეობის რაოდენობით:

- 100 000-მდე მოსახლეობა - 25 საბჭოს წევრი
- 200 000-მდე მოსახლეობა - 29 საბჭოს წევრი
- 500 000-მდე მოსახლეობა - 35 საბჭოს წევრი
- 1 000 000-მდე მოსახლეობა - 45 საბჭოს წევრი
- 1 000 000-ის ზემოთ მოსახლეობა - 49 საბჭოს წევრი

მხარის საბჭოს წევრები იღებენ შრომის ანაზღაურებას.

მხარის საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 4 წლით.

*3.2.2. მხარის აღმასრულებელი ორგანო*

მხარის აღმასრულებელი ორგანოა მხარის მთავრობა

მხარის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელია მხარის მმართველი

საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს მხარის მმართველს. მხარის მმართველის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს საბჭოს წევრთა მეოთხედზე მეტს. საბჭოს წევრი ერთი და იგივე პირი ვერ წარადგენს ერთ კანდიდატზე მეტს. მხარიის მმართველი აირჩევა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით. თუ ერთმა კენჭისყრაში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი ტარდება მეორე ტური სადაც მონაწილეობას იღებს საუკეთსეო შედეგის ორი კანდიდატი. მეორე ტურში მხარის მმართველი აირჩევა ხმათა ფარდობითი უმეტესობით.

საბჭო უფლებამოსილია დააყენოს მხარის მმართველის და მტავრობის უნდობლობის საკითხი. უნდობლობის საკითხის დაყენების უფლება აქვს მხარის საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს. მხარის საბჭოს წევრები, რომლებიც აყენებენ უნდობლობას ამავდროულად აყენებენ ახალი მხარის მმართველის კანდიდატურას. მხარის მმართველის გადაყენებისათვის აუცილებელია საბჭოს სიითი შემადგენლობის 2/3 ის თანხმობა. მხარის მმართველის შესახებ გადაწყვეტილება ამოქმედდება აღნიშნული გადაწყვეტილების

მიღებიდან 3 დღეში თუ ამ პერიოდში საბჭომ დადგენილი წესით აირჩია ახალი მხარის მმართველი. 3 დღეში ახალი მხარის მმართველის აურჩევლობის შემთხვევაში მოქმედი მხარის მმართველი აგრძელებს თავის უფლებამოისლებების შესრულებას და შემდგომი 6 თვის განმვალობაში საბჭო აღარ არის უფლებამოსილეი დასვას უნდობლობის საკითხი.

მთავრობის შემადგენლობას მხარის მმართველის წარდგინებით ამტკიცებს მხარის საბჭო. მთავრობა შედგება არაუმეტეს 20 წევრისაგან და მის შემადგენლობაში შედიან მხარის მმართველი, მმართველის პირველი მოადგილე, მმართველის მოადგილე (მოადგილეები), სამხარეო სამსახურების ხელმძღვანელები.

მხარის მთავრობის სტრუქტურასა და დებულებას მმართველის წარდგინებით ამტკიცებს მხარის საბჭო.

*მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნება:*

- საბჭოს გადაწყვეტილებათა აღსრულება;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების პროექტების მომზადება, წინასწარი განხილვა და დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელება;
- ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, წინასწარი განხილვა და დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულება; საჭიროების შემთხვევაში, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების შედგენა და საჯაროობის უზრუნველყოფა;
- საქართველოს კანონის შესაბამისად ზიარ გადასახადების მისტთვის კუთვნილი განაკვეთის დადგენასთან დაკავშირებული წინადადებების მომზადება და წარდგენა საბჭოსათვის.
- საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სამხარეო ქონებით სარგებლობა და განკარგვა;
- სამხარეო სამსახურების შექმნასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება, საბჭოს მიერ დადგენილი წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; მხარის მმართველის წარდგინებით მათ ხელმძღვანელთა დანიშვნა-გათავისუფლება და მათი საქმიანობის კონტროლი;
- მხაირს სავალდებულო და ნებაყოფლობითი ექსკლუზიური უფლებამოისლერბებებთან დაკავშირებული მომსახურებითი, ადმინისტრაციული, დაფინანსების და საინვესტიციო უფლებამოსლებების განხორცილება საბჭოს მიერ დადგენილი რეგულაციების ფარგლებში.
- მხარისათვის დელეგირებულ კომპეტენციებთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელება.

მთავრობის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება მტავრობის წევრთა ნახევარი მაინც. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, თუ კანონით ან დებულებით სხვა წესი არ არის დადგენილი.

მთავრობას მმართველი არჩევიდან ორი კვირის ვადაში ნდობის გამოსაცხადებლად წარუდგენს საბჭოს. თუ საბჭომ არ გამოუცხადა ნდობა მთავრობის შემადგენლობას, მმართველი უფლებამოსილია ხელახლა წარადგინოს მთავრობის იგევა ან ახალი შემადგენლობა. მთავრობისათვის ორჯერ ზედიზედ ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საბჭო აყენებს მმართველის უნდობლობის საკითხს.

მთავრობის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება:

- სამსახურიდან გათავისუფლებისას;
- თანამდებობიდან გადადგომისას;
- მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტისას;
- საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადებისას;
- მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობის, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადებისას;
- საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისას;
- გარდაცვალებისას;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას.

თუ მთავრობის შემადგენლობის 1/3 - იქნა განახელბული მმართველის მიერ მთავრობა საჭიროებს საბჭოს მხრიდან ნდობის ხელახლა გამოცხადებას.

*მმართველი:*

- უძღვება მთავრობის საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს მთავრობის წევრებს შორის, იწვევს და თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს თვეშI ერთხელ მაინც. წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგენს საბჭოს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;
- ორგანიზაციას უწევს სამხარეო ბიუჯეტის პროექტის შედგენას, წარუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილ მხარის ბიუჯეტის პროექტს და საანგარიშო წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას; ამზადებს წინადადებებს ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.
- საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მხარის ექსკლზუიური და მისთვის დელეგიორებული უფლებამოსილებებთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებების პროექტებს.
- მთავრობის საქმიანობიდან გამომდინარე შეიმუშავებს და საბჭოს წარუდგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს; უზრუნველყოფს საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;
- უფლებამოსილია საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში შესაბამისი შენიშვნებით დააბრუნოს საკითხი საბჭოში ხელახლა განსახილველად;
- ხელს აწერს შესაბამისი მხარის სახელით დადებულ ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, წარმოადგენს და მოქმედებს ამ ერთეულის სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;
- ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით ორგანიზაციას უწევს და უზრუნველყოფს მხარის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების გადაწყვეტას;
- წარუდგენს საბჭოს წინადადებებს სამხარეო სამსახურების და შესაბამისი საწარმოების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ, უზრუნველყოფს ლიკვიდირებულ საწარმოთა დაცვასა და შენახვას;
- შეიმუშავებს და საბჭოს წარუდგენს მთავრობის სტრუქტურას, ამტკიცებს სამხარეო სამსახურების დებულებებს;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, აპარატის უფროსის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის თანამშრომლებს, აფორმებს შრომის ხელშეკრულებებს მოწვეულ სპეციალისტებთან და ექსპერტებთან;
- თანამდებობიდან ათავისუფლებს მტავრობის წევრებს; იღებს მთავრობის ცალკეულ წევრთა განცხადებას გადადგომის შესახებ; მთავრობის წევრებს აკისრებს თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულებას.
- საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში შესაბამისი შენიშვნებით ხელახლა განსახილველად აბრუნებს საკითხს საბჭოში;
- აჩერებს ან აუქმებს სამხარეო სამსახურების ხელმძღვანელთა ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;
- უზრუნველყოფს საბჭოსა და მთავრობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულებას;
- მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის კომისიებსა და საკონსულტაციო ორგანოებს; ამტკიცებს მათ სამოქმედო დებულებებს;
- მთავრობის საქმიანობიდან გამომდინარე შეიმუშავებს და საბჭოს წარუდგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს;
- ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს და ფინანსურ დოკუმენტებს;
- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და განკარგულებებს;
- მიმართავს საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წინადადებით, საბჭოს მორიგ სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხი, ესწრება საბჭოს, საბჭოს კომისიების ღია და დახურულ სხდომებს. იგი უფლებამოსილია ჰყავდეს მუდმივი წარმომადგენელი საბჭოში;
- პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობაზე; პერიოდულად ისმენს მთავრობის წევრებისა და სამსახურების ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

- ახორციელებს საბჭოსა და მთავრობის შესაბამისი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში;

მმართველს აქვს თანამდებობიდან გადადგომის უფლება. მმართველის თანამდეობიდან გადადგომა ან განთავისუფლება იწვევს შესაბამისი მთავრობის გადადგომას. მთავრობის წევრები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ მტავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

*მმართველის პირველი მოადგილე და მოადგილე (მოადგილეები)*

მმართველის პირველი მოადგილის კომპეტენციები ისაზღვრება მთავრობის დებულებით და მმართველის სპეციალური დავალებებით. თუ მმართველს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება, ან მმართველის დავალებით ასრულებს მის მოვალეობებს.

მმართველის მოადგილის (მოადგილეების) კომპეტენციები ისაზღვრება მტავრობის დებულებით და მმართველის სპეციალური დავალებებით.

### 3.3. თვითმმართველი ერთეულის/მხარის სამსახურები

თვითმმართველი ერთეულის/მხარის სამსახური არის ამ კანონის შესაბამისად საკრებულოს/საბჭოს მიერ შექმნილი, თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის/მხარის ექსკლუზიურ და მისთვის დელეგირებული კომპეტენციების განხორციელებას.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის სამსახურების უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისი დებულებით.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის სამსახურის ხელმძღვანელი წარმართავს სამსახურის საქმიანობას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გამგებლის(მერის)/მმართველის, გამგეობის(მერიის)/მთავრობის და საკრებულოს შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - განკარგულებას.

სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანებებს აუქმებს გამგებელი(მერი)/მმართველი, საკრებულო (საბჭო), აგრეთვე უქმდება კანონი განსაზღვრუ შემთხვევებშI.

სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია გამგებლის (მერის)/მმართველის, გამგეობისა (მერიისა)/მთავრობის და საკრებულოს/საბჭოს წინაშე.

*აპარატი*

გამგეობის (მერიის)/მთავრობის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის/მხარის გამგეობის (მერიის)/მთავრობის აპარატი. აპარატის საქმიანობას უძღვება აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდეობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი)/მმართველი.

აპარატის სტრუქტურას აპარატის უფროსის წარდგინებით და გამგებელთან (მერთან)/მმართველთან შეთანხმებით ამტკიცებს გამგეობა (მერია)/მთავრობა

აპარატის თანამშრომლებს - აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს გამგებელი (მერი)/მმართველი.

*საჯარო მოსამსახურე*

პირი, რომელიც მუშაობს თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელ ორგანოებში, არის საჯარო მოსამსახურე.

საჯარო მოსამსახურის სტატუსი, სამუშაოზე მიღებისა და მუშაობის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონით "საჯარო სამსახურის შესახებ".

*თვითმმართველი ერთეულის/მხარის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები*

თვითმმართველი ერთეულის/მხარის ორგანოები და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ნორმატიული აქტების - საკრებულოს/საბჭოს და გამგეობის (მერიის)/მტავრობის გადაწყვეტილებების, გამგებლის (მერის)/მმართველის ბრძანების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით, თვითმმართველი ერთეულის/მხარის ორგანოს დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს/საბჭოს, გამგეობის (მერიის)/მთავრობის, გამგებლის (მერის)/მმართველის ნორმატიული აქტი ძალაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნების შემდეგ.

*საკრებულოს/საბჭოს საქმიანობის შეჩერება, დათხოვნა ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა*

საკრებულოს/საბჭოს საქმიანობის შეჩერება ან დათხოვნა დაიშვება საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

საკრებულოს/საბჭოს უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება საქართველოს პარლამენტის თანხმობით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენთის სამხარეო წარმოადგენლის სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში წარდგინებით თუ:

საკრებულო/საბჭო ვერ შეიკრიბა არცევიდან 3 თვის განმვალობაში

- საკრებულოს/საბჭოს წევრთა რაოდენობა შემცირდა ნახევარზე მეტით;
- საბჭომ ორ თვეში ვერ აირჩია მმართველი/მტავრობა;

გამგებელს/მერს უფლებამოსილება უწყდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე პარლამენტის თანხმობით საქართველოს პრეზიდენთის სამხარეო წარმოადგენლის სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში ან საკრებულოს წარდგინებით თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორცილებას.

გამგებელს/მერს უფლებამოსილება უწყდება აგრეთვე სასამართლოს მიერ სისხლის-სამართლის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში

## 4. საფინანსო სფერო

*ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს ულვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთი თვისებისაა, რომ საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოუტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამგეობის შეუმსუბუქებია, აუხსნია.*

*ილია*

### 4.1. ძირითადი ტერმინები

<u>თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი</u> არის თემის ან ქალაქის კანონმდებლობით განსაზღვრული შემოსულობების და მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების განხორციელების მიზნით გასაწევი გადასახდელების ერთობლიობა.

<u>მხარის ბიუჯეტი</u> არის მხარის კანონმდებლობით განსაზღვრული შემოსულობების და მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების განხორციელების მიზნით გასაწევი გადასახდელების ერთობლიობა.

<u>საბიუჯეტო წელი</u> - მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.

<u>საბიუჯეტო პროცესი</u> - თვითმმართველი ერთეულების/მხარეების ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონით რეგლამენტირებული საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულების /მხარეების ბიუჯეტის პროექტის შედგენას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, შესრულებას, აუდიტს, ზედამხედველობას, ანგარიშგებასა და შეფასებას.

<u>თვითმმართველი ერთეულების /მხარეების ბიუჯეტების საკუთარი შემოსულობები</u> - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თვითმმართველი ერთეულების/მხარეების ბიუჯეტის შემოსავლები ადგილობრივი გადასახადებიდან, გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან მიღებული ანარიცხებიდან, ადგილობრივი მოსაკრებლებიდან, გამოთანაბრებითი ტრანსფერტებიდან, სესხებიდან და სხვა არასაგადასახადო შემოსავლებიდან, რომლის გამოყენების საკითხსაც თვითმმართველობის ორგანოების/მხარეების ორგანოები წყვეტენ დამოუკიდებლად.

<u>გამოთანაბრებითი ტრანსფერტი</u> - სოციალურ-ეკონომიკური გამოთანაბრების მიზნით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაცემული ფინანსური სახსრები, რომელიც არის არამიზნობრივი და შეიტანება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებში.

<u>მიზნობრივი ტრანსფერტი</u> - დელეგირებული ფუნქციების განსახორციელებლად დელეგირების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე თვითმმართველობის ორგანოების/მხარეების მიერ მიღებული სახსრები სხვა ბიუჯეტიდან.

<u>საბიუჯეტო განაცხადი</u> - თვითმმართველი ერთეულების/მხარეების აღმასრულებელი ორგანოს მიერ თვითმმართველი ერთეულების/მხარეების წარმომადგენლობითი ორგანოსათვის დასამტკიცებლად წარდგენილი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის, შემოსულობების ნაწილის არგუმენტაციის და გადასახდელების შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამების ერთობლიობა.

<u>თვითმმართველი ერთეულების/მხარეების ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა საბიუჯეტო პროგრამა</u> - თვითმმართველი ერთეულების/მხარეების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ფორმატი, რომლის შესაბამისადაც თვითმმართველი ერთეულების/მხარეების აღმასრულებელი ორგანო ამზადებს თვითმმართველი ერთეულების/მხარეების ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა ცალკეული მიმართულებების მიხედვით ღონისძებათა დეგეგმვის, რეალიზაციის, მონიტორინგის და ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამას.

<u>დელეგირებულ უფლებამოსილებათა საბიუჯეტო პროგრამა</u> - სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ დამტკიცებული ფორმატი, რომლის შესაბამისადაც თვითმმართველი ერთეულების/მხარეების ხელისუფლების ორგანო ამზადებს დელეგირებულ უფლებამოსილებათა ცალკეული მიმართულებების

მიხედვით ღონისძიებათა დეგეგმვის, რეალიზაციის, მონიტორინგის და ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამას.

სარეზერვო ფონდი - თვითმმართველი ერთეულების/მხარეების ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად ასახული საბიუჯეტო სახსრების ფონდი.

თვითმმართველი ერთეულების/მხარეების ერთეულის ბიუჯეტის შესრულების შეფასება - თვითმმართველი ერთეულების/მხარეების ბიუჯეტის აღსრულების პროცესში თვითმმართველი ერთეულების/მხარეების აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის მიზანშეწონილობის, შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე დაგეგმილი ბიუჯეტის, ბიუჯეტიდან დაფინანსებული ხარჯების შედეგად მიღებული სოციალური შედეგის და ხარჯების ეფექტიანობის შეფასება.

ვალის ამორტიზაცია - ვალის ძირითადი თანხის დაფარვის ხარჯები.

## 4.2. საბიუჯეტო მოწყობა

დასახლებებს და ქალაქების უბნებს (დედაქალაქის უბნების გარდა) არ გააჩნიათ საკუთარი ბიუჯეტებს. დასახლებები და ქალაქის უბნები ფლობენ ხარჯთაღრიცხვას, რომელიც დამტკიცებულია იმ თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, რომლის შემადგენლობაშიც ისისნი შედიან.

### *4.2.1. თვითმმართველი ერთეულის და მხარის საბიუჯეტო მოწყობის ძირითადი პრინციპები*

- ყველა თვითმმართველ ერთეულს/მხარეს გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი.
- თვითმმართველობის ორგანოების/მხარეების საბიუჯეტო მოწყობა ეფუძნება ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის, ყოვლისმომცველობის, გამჭირვალობის, დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების, გამოთანაბრების, დაბალანსების, მიზნობრიობისა და უნივერსალურობის პრინციპებს.

*საბიუჯეტო სისტემების ერთიანობა*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტი არის ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ნაწილი.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტების ერთიანობა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემასთან უზრუნველყოფილია ერთიანი სამართლებრივი ბაზით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციის გამოყენებით, ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების ანგარიშის დადგენილი წესით, დამტკიცებული თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის და მისი შესრულების შესახებ ინფორმაციის გადაცემის აუცილებლობით, საბიუჯეტო პროცესის დადგენილი პრინციპებითა და ფულადი სისტემის ერთიანობით, ერთიანი საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკით.

*ბიუჯეტის ყოვლისმომცველობა*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის შემოსულობები და გადასახდლები სრულყოფილად და მთლიანად აისახება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის/ მხარის ბიუჯეტში.

*ბიუჯეტის გამჭირვალობა*

- თვითმმართველობის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, მასში დადგენილი წესით შეტანილი ცვლილებები, დამტკიცებული საბიუჯეტო პროგრამები, ბიუჯეტის და საბიუჯეტო პროგრამების შესრულების ანგარიში ექვემდებარება თვითმმართველობის/მხარის ორგანოების მიერ დადგენილი წესით გამოქვეყნებას საჯარო განხილვისათვის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ფორმით.

*ბიუჯეტის დამოუკიდებლობა*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველობის ერთეულების/მხარის, ისე საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და სხვა მხარის ბიუჯეტებისაგან.
- თვითმმართველობის/მხარის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია:
  - o მისი უზრუნველყოფით კანონით გასაზღვრული საკუთარი შემოსულობებით და მის ფარგლებში ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის და ხარჯების გაწევის დამოუკიდებელი განსაზღვრით.
  - o დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში ამ ორგანოების მიერ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით.

*ანგარიშვალდებულება*

- საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ყველა პირის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

*სოციალურ - ეკონომიკური გამოთანაბრება*

- სახელმწიფო ზრუნავს მთელი ქვეყნის ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, თვითმმართველი ერთეულების გამოთანაბრების პრინციპის გამოყენებით.
- გამოთანაბრების პრინციპი ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტიდან უშუალოდ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გამოთანაბრებითი ტრანსფერტის გადაცემის მეშვეობით, რომელიც ეფუძნება კანონით დადგენილ ფორმულას.

*ბიუჯეტის დაბალანსება*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები უნდა იყოს დაბალანსებული.

*ბიუჯეტის მიზნობრიობა*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის ხარჯების მიზნობრიობას უზრუნველყოფს საბიუჯეტო პროგრამების გამოყენება საბიუჯეტო ხარჯების შედგენის, განხილვის, მისი დამტკიცების, შესრულების, კონტროლისა და შეფასების პროცესში.
- საბიუჯეტო ხარჯების გაწევა უშუალოდ უნდა ეფუძნებოდეს თვითმმართველობის/მხარის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე კონკრეტული შედეგის მატარებელი ღონისძიებების განხორციელებას.

*ბიუჯეტის უნივერსალურობა*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები მიემართება ამ ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო ხარჯების (გარდა დელეგირებულ უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებისა) დასაფინანსებლად, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული და სპეციალური შემოსავლებისა და აგრეთვე, მიზნობრივი ტრანსფერტებისა.

### *4.2.2. თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის შემოსულობები*

*თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები*

თვითმმართველი ერთეულების/მხარის საკუთარ შემოსულობებს წარმოადგენს:

- კანონმდებლობით განსაზღვრული მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები, რომელიც მოიცავს ადგილობრივ გადასახადებს (თვითმმართველი ერთეულებისათვის) და ზიარ საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს.
- მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები, მათ შორის ადგილობრივი/მხარის მოსაკრებლები და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლები.

- კაპიტალური შემოსავლები, მათ შორის, თვითმმართველი ერთეულის/მხარის ქონების მართვისა და განკარგვისაგან მიღებული შემოსავლები.
- გამოთანაბრებითი ტრანსფერტები (მხოლოდ თვითმმართველი ერთეულებისათვის) და გრანტები (გარდა დელეგირებული უფლებამოსილებებისათვის მიღებული მიზნობრივი ტრანსფერტებისა).
- სესხები.

*თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსულობები*

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისაგან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერტები და დონორებისაგან მიღებული მიზნობრივი შემოსავლები.

*ადგილობრივი გადასახადები*

ადგილობრივ გადასახადებთან დაკავშირებით განისაზღვროს უფლებამოსილებების შემდეგი განაწილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის:

| | |
|---|---|
| საკანონმდებლო ბაზა | უნდა განისაზღვროს ცენტრალური ხელისუფლების მიერ საგადასახადო კოდექსში. |
| გადასახადის ტიპი | ადგილობრივი გადასახადი |
| დაბეგვრის ობიექტი | უნდა განისაზღვროს ცენტრალური ხელისუფლების მიერ საგადასახადო კოდექსში. |
| განაკვეთი | ცენტრალური ხელისუფლების მიერ კანონით განისაზღვროს განაკვეთის ქვედა და ზედა ზღვრები.<br>ადგილობრივმა თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითმა ორგანომ დაადგინოს განაკვეთი კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. |
| შეღავათი | სუბიექტების კატეგორიები, რომლებიც ისარგებლებენ შეღავათებით განსაზღვროს ცენტრალურმა ხელისუფლებამ. |
| შემოსავლების პროგნოზირება | პროგნოზირება უნდა განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა |
| გადასახადიდან შემოსავლების ჩარიცხვა | 100%-ით უნდა ჩაირიცხოს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში |

*ზიარი გადასახადები*

ზიარი-ადგილობრივი გადასახადები უნდა წარმოადგენდეს ისეთ გადასახადს, რომელიც თავისი ტიპით არის საეთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი. ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულია დაბეგვრის სრული განაკვეთი, მაგრამ განეკვეთი განაწილებულია 2 ნაწილად. მაგალითად, მოგების გადასახადის განაკვეთი არის 20 %. ამ გადასახადიდან 5 % არის თვითმმართველი ერთეულის და 15% მხარის კუთვნილება, საშემოსავლო გადასახადში შესაბამისად 5 % არის თვითმმართველი ერთეულის და 7% მხარის კუთვნილება. თვითმმართველი ერთეული და მხარე მისთვის მიკუთვნებული მაქსიმალური განაკვეთის ფარგლებში უფლებამოსილნი არიან შეცვალონ საგადასახადო განაკვეთი.

თვითმმართველი ერთეულების და მხარეების ბიუჯეტების შემოსავლები მკაფიოდ დადგენილია კანონით.

### *4.2.3. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები*

1. ადგილობრივი გადასახადები, მათ შორის:

- ქონების გადასახადი (სრულად)
- სათამაშო ბიზნესის გადასახადი (სრულად)

2. ზიარი გადასახადები, მათ შორის:

- მოგების გადასახადი - არაუმეტეს 5% საგადასახადო განაკვეთისა
- საშემოსავლო გადასახადი - არაუმეტეს 5% საგადასახადო განაკვეთისა

ქალაქები: ბათუმი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ქუთაისი, ცაგერი, გორი, ახალციხე, ბოლნისი, თბილისი, თელავი, ჟინვალი (როგორც მხარის ცენტრები) იღებენ 100 პროცენტს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადიდან.

3. არასაგადასახადო შემოსავლები, მათ შორის

- ადგილობრივი სალიცენზიო მოსაკრებელები: მოსაკრებლები გარე ვაჭრობის ნებართვისათვის, გარე რეკლამის განთავსებისათვის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის ნებართვისათვის, ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის, მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის, ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის, არქიტექტურული ობიექტების სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლის ნებართვისათვის;
- ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი;
- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებისა და მიწის იჯარიდან მიღებული შემოსავალი;
- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებით ქონებით ან ასეთი ქონების მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისაგან მიღებული დივიდენდები და მოგების ნაწილი;
- შემოსავალი მიღებული სესხებიდან (კრედიტებიდან);
- საბიუჯეტო სესხის, დეპოზიტის, ვექსელებისა და სხავ პროცენტები (სარგებელი);
- შემოსავალი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების და მიწის გაყიდვიდან;
- შემოსავალი გრანტებიდან;
- შემოსავალი არამატერიული აქტივების რეალიზაციიდან;
- შემოსავალი ხანდაზმული კრედიტორული და დებიტორული დავალიანებებიდან;
- შემოსავალი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენებიდან.
- სამოქალაქო აქტების რეგისტრაციაზე დაწესებული მოსაკრებლები
- როიალტი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებისა და ექსკლზიური უფლებამოსილებების შესაბამისად;
- შემოსავალი თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი ადმინისტრაციული ჯარიმებიდან

(ნუსხა დაზუსტდება კომპეტენციების საბოლოო გამიჯვნის შემდეგ)

4. ტრანსფერტები, მათ შორის

- გამოთანაბრებითი (არამიზნობრივი) ტრანსფერტები.
- მიზნობრივი ტრანსფერტები თვითმმართველ ერთეულზე დელეგირებული უფლებამოსილებების დასაფინანსებლად.
- კაპიტალური ტრანსფერტები კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად.

გამოთანაბრებითი ტრანსფერტების სისტემა შედგება ორი კომპონენტისაგან: გასანაწილებელი გამოთანაბრებითი ფონდისა (მთლიანი გასანაწილებელი თანხა) და გამოთანაბრებითი ფორმულისაგან.

ყოველ წელს ცენტრალური ბიუჯეტი მოსალოდნელი შემოსავლების არანაკლებ 5%-სა გამოყოფს მთლიან გასანაწილებელ თანხას გამოთანაბრებითი ტრანსფერტებისათვის.

### *4.2.4. მხარის ბიუჯეტის შემოსავლები*

1. ზიარი გადასახადები, მათ შორის:

- მოგების გადასახადი - არაუმეტეს 15% საგადასახადო განაკვეთისა

- საშემოსავლო გადასახადი - არაუმეტეს 7% საგადასახადო განაკვეთისა

2. არასაგადასახადო შემოსავლები, მათ შორის:

- მხარის საკუთრებაში არსებული ქონებისა იჯარიდან მიღებული შემოსავალი;
- მხარის საკუთრებაში არსებული ქონებით ან ასეთი ქონების მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისაგან მიღებული დივიდენდები და მოგების ნაწილი;
- შემოსავალი მიღებული სესხებიდან (კრედიტებიდან);
- საბიუჯეტო სესხის, დეპოზიტის, ვექსელებისა და სხავ პროცენტები (სარგებელი);
- შემოსავალი ზემო დონის ბიუჯეტიდან გადმოცემული ტრანსფერტებიდან;
- შემოსავალი გრანტებიდან;
- შემოსავალი არამატერიული აქტივების რეალიზაციიდან;
- შემოსავალი ხანდაზმული კრედიტორული და დებიტორული დავალიანებებიდან;
- როიალტი მხარის საკუთრებისა და ექსკლზიური უფლებამოსილებების შესაბამისად;
- შემოსავალი მხარის მიერ დადგენილი ადმინისტრაციული ჯარიმებიდან

3. ტრანსფერტები, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერტები მხარეზე დელეგირებული უფლებამოსილებების დასაფინანსებლად.
- კაპიტალური ტრანსფერტები სამხარეო მნიშვნელობის კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად.

## 4.3. გამოთანაბრებითი (არამიზნობრივი), მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერტები

### *4.3.1. გამოთანაბრებითი (არამიზნობრივი) ტრანსფერტი.*

გამოთანაბრებითი (არამიზნობრივი) ტრანსფერტის გადაცემას ახორციელებს ცენტრალური ხელისუფლება უშუალოდ თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში. კანონით დადგენილია, რომ ყოველწლიურად გამოთანაბრებითი (არამიზნობრივი) ტრანსფერტებისათვის ცენტრალური ბიუჯეტში გამოიყოფა ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების არანაკლებ 5 %.

გამოთანაბრებითი ტრანსფერტები თვითმმართველი ერთეულისათვის არის არამიზნობირივი და ამ ტრანსფერტიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვას თვითმმართველი ერთეულები ახორციელებენ თავის შეხედულებისამებრ სავალდებულო და ნებაყოფლობითი მექსკლუზიური კომპეტენციების განხორციელებისათვის.

გამოთანამბრებითი ტრანსფერტის გამსაზღვრა თვითმმართველი ერთეულებისათვის ხორციელდება კანონით დადგენილი ფორმულის საშუალებით და ყოველწლიურად მტკიცდება სახელმწიფო ბიუჯეტთა ერთად კანონის სახით.

გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოსათვლელი ფორმულა მოიცავს ორ ეტაპს.

1. თვითმმართველი ერთეულების გამოთანაბრებითი კოეფიციენტების განსაზღვრა
2. გამოთანაბრებითი კოეფიციენტების და სპეციალური ფორმულის საშუალებით თითოეული თვითმმართველი ერთეულისათვის გამოტანაბრებითი ტრანსფერების მოცულობის განსაზღვრა.

### *1. გამოთანაბრებითი კოეფიციენტი*

გამოთანაბრებითი კოეფიციენტი თითოეული თვითმმართველი ერთეულისათვის იანგარიშება შემდეგი წესით:

თემებისათვის:

$$K_{iv} = (1{,}5K_1+K_2+ 2K_3 + K_4+ K_5+1{,}2\,K_6+1{,}2\,K_7)/7 \quad (1)$$

ქალაქებისათვის:

$K_{iv} = (K_1+1{,}5K_2+ K_3 + K_4+1{,}5 K_5+ K_6+ K_7) /7 \quad (1')$

სადაც:

$K_i$ - i -ური თვითმმართველი ერთეულის გამოთანაბრებითი კოეფიციენტი.
$K_1$ - მოსახლეობის კოეფიციენტი
$K_2$ - შრომითი რესურსების კოეფიციენტი
$K_3$ - აქტიური მიწის კოეფიციენტი
$K_4$ - მთაგორიანობის კოეფიციენტი
$K_5$ - ფისკალური კოეფიციენტი

**მოსახლეობის კოეფიციენტი ($K_1$)**

| მოსახლეობის რაოდენობა თვითმმართველ ერთეულში | $K_1$ |
|---|---|
| 1000 კაცამდე | 1,1 |
| 1000-3000 | 1,15 |
| 3000 – 5000 | 1,2 |
| 5000-7000 | 1,25 |
| 7000-10 000 | 1,3 |
| 10000-15000 | 1,35 |
| 15000 – 20000 | 1,4 |
| 20000-30000 | 1,45 |
| 30 000 - 40 000 | 1,5 |
| 50 000 - 75 000 | 1,55 |
| 75 000 - 100 000 | 1,6 |
| 100 000 - 150 000 | 1,65 |
| 150 000 - 200 000 | 1,7 |
| 200 000 - 300 000 | 1,8 |
| 300000-ის ზევით | 1,9 |

**შრომითი რესურსების კოეფიციენტი ($K_2$)**

*მთლიანი მოსახლეობა* - ერთეულის სრული მოსახლეობა

*აქტიური შრომითი რესურსები* = მთლიან მოსახლეობას - არასრულწლოვნები - საპენსიო ასაკის პირები - ინვალიდები - მიგრირებული მოსახლეობა - სხვა არასრომისუნარიანი მოსახლეობა

*შრომითი რესურსების კოეფიციენტი* = მთლიანი მოსახლეობა / აქტიური შრომითი რესურსები

**აქტიური მიწის კოეფიციენტი ($K_3$)**

ერთ სულ მოსახლეზე აქტიური მიწის კოეფიციენტი = (მიწის მთლიან ფართობს - სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის და ურბანული განაშენიანებისათვის გამოუსადეგარი მიწის ფართობები) / მოსახლეობის რაოდენობაზე

| აქტიური მიწის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე | $K_3$ |
|---|---|
| 0,5- ჰა-მდე | 1.95 |
| 0,5- 1 ჰა | 1.90 |
| 0,5 - 1 | 1.85 |
| 1 - 1,5 | 1.80 |
| 1,5 - 2 | 1.75 |
| 2 - 2,5 | 1.70 |
| 2,5 - 3 | 1.65 |
| 3 - 3,5 | 1.6 |

| | |
|---|---|
| 3,5- 4 | 1.55 |
| 4 - 4,5 | 1.50 |
| 4,5 - 5 | 1.45 |
| 5 - 5,5 | 1.40 |
| 5,5 - 6 | 1.35 |
| 6 - 6,5 | 1.30 |
| 6,5 - 7 | 1.25 |
| 7 - 7,5 | 1.2 |
| 7,5 - 8 | 1.15 |
| 8 - 8,5 | 1.1 |
| 8,5 - 9 | 1.05 |
| 9 - 9,5 | 1 |
| 9,5- 10 | 0.95 |
| 10 ის ზევით | 0.9 |

მთაგორიანობის კოეფიციენტი ($K_4$)

| | $K_4$ |
|---|---|
| 2000 მეტრი ზემოთ | 1 |
| 1800 – 2000 მ | 0,85 |
| 1500 – 1800 მ | 0,75 |
| 1200 – 1500 მ | 0,5 |
| 1000 – 1200 | 0,35 |
| 800 - 1000 | 0,2 |
| 800 მეტრს ქვემოთ | 0 |

ფისკალური კოეფიციენტი ($K_5$)

ბოლო სამი წლის განმვალობაში ერთ სულ მოსახლეზე ბიუჯეტის საშუალო საკუთარი შემოსავლები

| შემოსავლის ოდენობა | $K_5$ |
|---|---|
| 5 ლარამდე | 2 |
| 5 - 10 | 1.95 |
| 10 - 15 | 1.90 |
| 15 - 20 | 1.85 |
| 20 - 25 | 1.80 |
| 25 - 30 | 1.75 |
| 30 - 35 | 1.70 |
| 35 - 40 | 1.65 |
| 40 - 45 | 1.6 |
| 45 - 50 | 1.55 |
| 50 - 60 | 1.50 |
| 60 - 70 | 1.45 |
| 70 - 80 | 1.40 |
| 80 - 90 | 1.35 |
| 90 - 100 | 1.30 |
| 100 -ის ზემოთ | 1.25 |

მოწყვეტილობის კოეფიციენტი ($K_6$)

ეს კოეფიციენტი აჩვენებს კლიმატური პირობების გამომ გზების ჩაკეტვის გამო თვითმმართველი ერთეულის ცენტრალურ მაგისტრალებისაგან მოწყვეტას.

| | $K_6$ |
|---|---|
| გზა ჩაკეტილია 6 თვეზე მეტ ხანს | 2 |
| გზა ჩაკეტილია 3-დან-6 თვემდე | 1.5 |

| | |
|---|---|
| გზა იკეტება არაუმეტეს 3 თვისა | 1 |
| გზა არ იკეტება | 0 |

**დაშორების კოეფიციენტი ($K_7$)**

ეს კოეფიციენტი აჩვენებს ცენტრალური მაგისტრალებიდან და დასახელბებიდან დაშორება და სახელმწიფო საზღვართან სიახლოვეს

$K_7 = 0{,}015\ S_1 + 0{,}025\ S_2 + 0{,}035\ S_3 + 0{,}045\ S_4$

სადაც

$S_1$ - საერთაშორისო მნიშვნელობის გზიდან დაშორება კილომეტრებში
$S_2$ - სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან დაშორება კილომეტრებში
$S_3$ - შიდა სამხარეო მნიშვნელობის გზიდან დაშორება კილომეტრებში
$S_4$- მუნიციპალიტეტთაშორისი მნიშვნელობის გზიდან დაშორება კილომეტრებში

*2. კოეფიციენტების და სპეციალური ფორმულის საშუალებით ტრანსფერების მოცულობის განსაზღვრა*

ამ ამოცანის გადაწყვეტისთვის მოცემულია:

T - ცენტრალურ ბიუჯეტში ტრანსფერისათვის განსაზღვრული სახსრების საერთო მოცულობა

$K_1, K_2 \ldots K_M$ არის თვითმმართველი ერთეულების გამოთანაბრების კოეფიციენტები.

უნდა განისაზღვროს T , რომელიც j -ური თვითოეული თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ტრანსფეროს მოცულობა.

ამასთან უნდა შესრულდეს პირობა:

$$\sum_{J=1}^{m} \mathbf{Tj} = \mathbf{T}$$

დამხმარე პრამეტრი A გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის საშუალებით:

$$1/\left(\sum_{J=1}^{m} \mathbf{1/Kj}\right) = A$$

საბოლოო ფორმულა გამოიყურება ასე:

$$T_j = T*A*K_j$$

აღნიშნული ფორმულა სხვანაირადაც შეიძლება გამოისახოს:

$$T*K_j/\left(\sum_{J=1}^{m} \mathbf{1/Kj}\right) = T_j$$

სადაც:

$T_j$ არის j თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ტრანსფერტის მოცულობა

T -მთლიანად ქვეყანაში ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოთანაბრებითი ტრანსფერტისათვის გამოყოფილი თანხა

$K_j$ არის j თვითმმართველი ერთეულის გამოთანაბრებითი კოეფიციენტი, რომელიც ითვლება (1) ფორმულის საშუალებით.

## 4.3.2. მიზნობრივი ტრანსფერტი

მიზნობრივი ტრანსფერტით უნდა დაფინანსდეს დელეგირებული უფლებამოსილებები. მიზნობრივი ტრანსფერტი გადაეცემა კომპეტენციის დელეგირების შესაბმისად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარის ბიუჯეტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ან მხარის ბიუჯეტიდან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. მიზნობრივი ტრანსფერტი სრულად ანაზღაურებს დელეგირებული კომპეტენციისათვის საჭირო ხარჯებს. მიზნობრივი ტრანსფერტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ნაკლები იყოს დელეგირებული კომპეტენციების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯებზე, როდესაც არსებობს სხვაობის ამ დელეგირებული კომპეტენცსათან დაკავშირებულ მომსახურებაზე არსებობს მოსაკრებლის, ბაჟის ან ტარიფის დაწესების შესაძლებლობა. თითოეულ დელეგირებულ კომპეტენციასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს ფორმულა, რომლის საშუალებითაც ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულისათვის განისაზღვრება მიზნობრივი ტრანსფერტის მოცულობა იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დელეგირებული კომპეტენციებით გათვალისწინებული მომსახურება თანაბარზომიერი და ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში იყოს. მიზნობრივი ტრანსფერტის დარგობრივი ფორმულა ეფუძნება მომსახურების ერთ ბენეფიციარზე საჭირო დანახარჯს.

## *4.3.3. კაპიტალური ტრანსფერტი*

კაპიტალური ტრანსფერტის გადაცემა ხდება კონკრეტული კაპიტალური პროექტის განხორციელებისათვის და მისი მოცულობა დგინდება აღნიშნული პორექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

## 4.4. თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის გადასახდელები

თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის გადასახდელები მოიცავს მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებს, აგრეთვე ვალის ამორტიზაციას. თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სავალდებულო და ნებაყოფლობითი ექსკლუზიური კომპეტენციების განხორციელებისათვის დასაფინანსებელი პროგრამების და ხარჯების მიმართულებებს. კანონით განსაზღვრული დელეგირებულ კომპეტენციების განხორცილებისათვის საჭირო ხარჯების მიმართულებები განისაზღვრება დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე. კომპეტენცოების დელეგირებისას ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, ვინც ახორციელებს დელეგირებას იმ ორგანოსათვის ვისთვისაც ხდება დელეგირება ხდება აღნიშნული კომპეტენციის განხორცილებისათვის საჭირო ხარჯების სრული ანაზღაურება.

## 4.5. თვითმმართველი ერთეულების/მხარეების ხელისუფლების ორგანოების სესხები და ვალი

*ადგილობრივი თვითმმართველობის/მხარის მიერ სესხის უფლება*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლკების ორგანოები უფლებამოსილნი არიან აიღონ სესხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნებართვით კანონმდებლობით დადგენილი წესი სესხი ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლკების ორგანოები უფლებამოსილნი არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნებართვით კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელონ თვითმმართველი ერთეულის/მხარის ფასიანი ქაღალდების გამოშვება.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის მიერ სესხის აღების შესახებ გადაწყვეტილებას თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანოს წინადადების საფუძველზე იღებს თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანო.

*სესხის სახეები*

თვითმმართველი ერთეულები/მხარეებ უფლებამოსილნი არიან აიღონ სესხი მინდინარე ან კაპიტალური ხარჯებისათვის

*სესხის აღება მიმდინარე ხარჯებისათვის*

- თვითმმართველი ერთეულების/მხარის ხელისუფლების ორგანოები უფლებამოსილნი არიან აიღონ სესხი მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისათვის, თუ მათი ბიუჯეტის შემოსავლები პროგნოზირებულზე ნაკლებია.
- მიმდინარე ხარჯებზე აღებული სესხის რაოდენობა წლის განმვალობაში არ უნდა აღემატებოდეს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების 15 %-ს.
- მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებელალ აღებული სესხი დაბრუნებულ უნდა იქნეს აღებიდან სამი თვის ვადაში, ამასთან აუცილებლად იმავე საბიუჯეტო წელს.
- დაუშვებელია მიმდინარე ხარჯების დაფარვისათვის ფასიანი ქაღალდების გამოშვება

*სესხის აღება კაპიტალური პროგრამებისათვის.*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგნელობითი ორგანოების მიერ დამტკიცებულს კაპიტალურ საბიუჯეტო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს პროგრამის თანადაფინანსება სესხის აღების საშუალებით.
- კაპიტალური პროგრამებისათვის აღებული სესხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კაპიტალური პროგრამით გათვალისწინებული საბიუჯეტო წელს გასაწევის ხარჯების 25 პროცენტს და მთლიანი კაპიტალური პროგრამების 10 %-ს.
- კაპიტალური პროგრამებისათვის აღებული სესხის დაფარვის გრაფიკი გათვალისწინებულ უნდა იქნეს თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში.

## 4.6. საბიუჯეტო პროცესი

### *4.6.1. ზოგადი პრინციპები*

- საბიუჯეტო პროცესი იწყება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე 9 თვით ადრე თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის პროექტის შედგენით და მთავრდება 2 წლის შემდეგ - ახალი საბიუჯეტო წლის მომდევნო წლის დეკემბერში, ამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენით, დამტკიცებით და შეფასებით.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის პროექტის შედგენა და ბიუჯეტის შესრულება ევალება თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელ ორგანოს. ბიუჯეტის პროექტის განხილვა, დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა, მის შესრულებაზე კონტროლი, შეფასება და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებაა.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის შესახებ ინფორმირება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დადგენილი წესით, ფორმით, მოცულობითა და ვადებში.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანოები წარუდგენენ ანგარიშს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზნობრივი ტრანსფერტით დაფინანსებული ხარჯების შესახებ.
- მაღალმთიან რეგიონებში თვითმმართველობის ორგანოების დამატებითი საბიუჯეტო უფლებამოსილებანი და თავისებურებანი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

### *4.6.2. თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის შედგენა, განხილვა და დამტკიცება*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანო თვითმმართველი ერთეულის/მხარის საზოგადოებრივი საჭიროებების, შემოსავლების პროგნოზების და სოციალ-ეკონომიკური

განვითარების მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე ამზადებს მომდევნო წლის ბიუჯეტის საპროექტო წინადადებას მიმდინარე წლის 1 აპრილამდე. ბიუჯეტის საპროექტო წინადადებაში აისახება დასაფინანსებელი პრიორიტეტული პროგრამების მოკლე აღწერილობა და ამ პროგრამებით გათვალისწინებული თვითმმართველობის მიერ გასაწევი მომსახურების სახეები და მოცულობა, შემოსავლების პროგნოზული პარამეტრები, ინფორმაცია დელეგირებული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ პროგრამებთან დაკავშირებით და მთლიანობაში ბიუჯეტის პარამეტრული გაანგარიშებები.

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანო იხილავს ბიუჯეტის საპროექტო წინადადებას და მიმდინარე წლის 1 ივნისამდე იღებს გადაწყვეტილებას პრიორიტეტული პროგრამების და ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების შესახებ.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე აღმასრულებელი ორგანო ამზადებს საბიუჯეტო განაცხადის პროექტს და 1 აგვისტომდე დასამტკიცებლად წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობით ორგანოს.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობით ორგანო ბიუჯეტს ამტკიცებს 1 ოქტომბრამდე ანუ ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მოიცავდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის/მხარის ყველა შემოსულობებს და გადასახდელებს
- ბიუჯეტში გამიჯნული უნდა იყოს საკუთარი შემოსულობები და მიზნობრივი ტრანსფერტები
- საკუთარ შემოსულობებში გამოყოფილი უნდა იყოს მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები, მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები, გრანტები, გამოთანაბრებითი ტრანსფერტი და სესხები.
- გადასახელებში გამოყოფილი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებების და დელეგირებულ უფლებამოსილებების განხორციელებისათვის გათვალისწინებული გადასახდელები. გადასახდელებში ასევე გამოყოფილი უნდა იყოს მიმდინარე ხარჯები, კაპიტალური ხარჯები, დაკრედიტება და ვალის ამორტიზაცია
- ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციები
- სარეზერვო ფონდის ოდენობა არ აჭარბებდეს ბიუჯეტის საერთო გადასახდელების 2%-ს
- ბიუჯეტში პროექტების და პროგრამების დაფინანსების გათვალისწინების შემთხვევაში ბიუჯეტის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ამ პროექტები და პროგრამები (მათ შორის მისი მიზნები და კონკრეტული ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების მაჩვენებლები, დაფინანსების მოცულობა, დაფინანსების წყაროები, მონაცემები სესხის ოდენობისა და დაფარვის ვადის შესახებ, თუ ასეთი გათვალისწინებულია პროექტით).

საბიუჯეტო განაცხადში შეიტანება:

- შემოსულობების პროგნოზული მაჩვენებლები სახეების მიხედვით;
- შემოსულობების დასაბუთება სახეების მიხედვით.
- ხარჯების მოცულობა პროგრამების, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად;
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა საბიუჯეტო პროგრამები დადგენილი ფორმატის შესაბამისად;
- დელეგირებულ უფლებამოსილებათა საბიუჯეტო პროგრამები დადგენილი ფორმატის შესაბამისად;
- კაპიტალური პროგრამები დადგენილი ფორმატის შესაბამისად
- სარეზერვო ფონდის მოცულობა (მაქსიმუმ ბიუჯეტის 2%-ის ოდენობით).
- ხელშეკრულებები დელეგირებულ უფლებამოსილებათა თაობაზე.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანო იხილავს საბიუჯეტო განცხადის პროექტს და ამტკიცებს ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია გასწიოს ხარჯები ყოველთვიურად არაუმეტეს გასული წლის ასიგნებების 1/12 -ის ოდენობით.

მიზნობრივი ტრანსფერტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინების პროცესი.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თვითმმართველი ერთეულის/მხარის ახალი საბიუჯეტო წლის წინა საბიუჯეტო წლის 1 თებერვლამდე თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოებს წარუდგენს დელეგირებული უფლებამოსილებების სახეებს, ღონისძიებებსა და მომსახურების მოცულობის და მიზნობრივი ტრანსფერტის ძირითად პარამეტრებს.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე ამზადებს თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერტის მოცულობას და წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობით ორგანოს მიმდინარე წლის 1 აპრილამდე, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო იხილავს და განხილვის შედეგების გათვალისწინებით თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანო წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 1 მაისამდე.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანო მიმდინარე წლის 1 ივნისამდე ფინანსთა სამინისტროსთან ათანხმებს თვითმმართველი ერთეულისათვის/მხარისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებს და დელეგირების ხელშეკრულების პროექტებს და წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობით ორგანოს. თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანო იხილავს დელეგირებული უფლებამოსილების პროგრამებს და დელეგირებული ხელშეკრულების პროექტებს. მიმდინარე წლის 1 ივლისამდე თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელ ორგანოსა და საქართველოს ფინანსთა სამინსიტროს შორის ფორმდება დელეგირების ხელშეკრულებები.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანო დელეგირების ხელშეკრულებების საფუძველზე დელეგირებული უფლებამოისლებებისათვის საჭორო ფინანსურ ასიგნებებს ითვალისიწნებს ახალი ბიუჯეტის პროექტში, რომელსაც თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე.

### *4.6.3. თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის შესრულება*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანო.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ერთეულის ბიუჯეტში მიმდინარე საგადასახადო შემოსავლების მიღებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი. ადგილობრივი მოსაკრებლებიდან, მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლებიდან და კაპიტალური შემოსავლებიდან თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტში შემოსავლებს უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანო.
- თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკასო შესრულება ხდება სახაზინო მომსახურების პრინციპით საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

### *თვითმმართველი ერთეულის/მხარის ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა*

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინადადების საფუძველზე იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოების ისეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც გავლენას ახდენს დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებზე ან გადასახდელებზე, უნდა განხორციელდეს დამტკიცებული ბიუჯეტში ცვლილება.
- შემოსულობების ყოველთვიურ პროგნოზთან შედარებით შემოსავლების შესრულების მაჩვენებლების 3 თვის განვალობაში 10 პროცენტის ან მეტი დანაკლისის შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელმა ორგანომ თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობით ორგანოს უნდა წარუდგინოს ბიუჯეტის ცვლილების პროექტი.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის კონტროლი, აუდიტი, შეფასება და ანგარიშის დამტკიცება.

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის დაწესება. თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოსათვის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაცემული მიზნობრივი ტრანსფერტის გამოყენების კანონიერებასა და მიზნობრიობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანოები ახორციელებენ დამტკიცებული საბიუჯეტო პროგრამების განხორციელების შეფასებას კვარტალში ერთხელ მაინც.
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ადგენს თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანო და საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 2 თვისა განსახილველად წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობით ორგანოს, ბიუჯეტის ანგარიშში აისახება:
    - შემოსულობების შესრულება, დაგეგმილთან შედარებით ნამეტობის ან ნაკლებობის მითითებით;
    - საბიუჯეტო პროგრამების შესრულების შედეგების ანალიზი პროგრამაში დასახულ ამოცანებთან მიმართებაში. პროგრამების რეალიზაციისას გამოვლენილი დაგეგმვის ნაკლოვანებები;
    - გ)სარეზერვო ფონდის გამოყენების ანგარიში;
    - სხვა მონაცემები, რომელსაც ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანოს მოთხოვნა.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის ერთეულის ბიუჯეტის შესრულების აუდიტი ხორციელდება თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შემუშავებული წესების შესაბამისად.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანო თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ანგარიშიდან გამომდინარე, ახორციელებს ბიუჯეტის შესრულების შეფასებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი საბიუჯეტო წლისათვის.

### 4.7. შემოსავლების მოძრაობის სქემა

საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს გადასახადის გადამხდელები იხდიან მომსახურე ბანკის საშულებით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ერთიან ანგარიშზე. თანხის გადარიცხვა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი კომერციული ბანკის ან მისი ფილიალის მეშვეობით. გადამხდელის მიერ კომერციულ ბანკში ან მის ფილიალში შეტანილი თანხები ირიცხება საქართველოს ეროვნულ ბანკში ფინანსთა სამინისტორს სახაზინო სამსახურის ერთიან ანგარიშზე, საიდანაც "საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმატივების საფუძველზე ხდება თანხების გადარიცხვა სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში - ტერიტორიული ერთეულების, ავტონომიური რესპუბლიკების და სახელმწიფო ბიუჯეტების საშემოსავლო ანგარიშებზე. ტერიტორიული ერთეულებში იგულისხმება საქართველოში არსებული ყველა რაიონული ერთეულები და ქალაქები რომელიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში. აღნიშნულ ერთეულებს გააჩნიათ დამოუკიდებელი ანგარიშები, რომელიც ხაზინასთან შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ნებისმიერ კომერციულ ბანკში იქნას გახსნილი. რაიონული შემოსავლების ანგარიშებიდან ხდება შემოსავლების გადანაწილება ასოცირებული საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად თვითმმართველ ერთეულებზე (სოფელი, თემი, დაბა და ქალაქი რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში). თვითმმართველ ერთეულებსაც შესაბამისად გააჩნიათ დამოუკიდებელი ანგარიშები კომერციულ ბანკებში ან მათ ფილიალებში, რომელზეც ხდება

პირველი დონის ერთეულების ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსულობების მობილიზება და შესაბამისად ამავე ბიუჯეტით განსაზღვრული მომსახურე სუბიექტებისათვის გადასახდელების გადახდა.

ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში მობილიზებული თანხები მასში შემავალ სხვადასხვა დონიოს ბიუჯეტებს შორის ნაწილდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

არსებული შემოსავლების მობილიზების სქემაში არსებობს თანხის მოძრაობის ორი ვარიანტი, რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია თანხის გადახდა. ***პირველი:*** ხაზინას შეიძლება ჰქონდეს გახსნილი ეროვნულ ბანკში არსებული სახაზინო სამსახურის ანგარიშის სატრანზიტო ანგარიშები, რომელზეც გადამხდელს დადგენილი კოდების მეშვეობით პირდაპირ შეუძლია შეიტანოს ბიუჯეტის კუთვნილი თანხა და შესაბამისად გადახდილი თანხა ყოველგვარი ზედმეტი ოპერაციების გარეშე მოხვდება სახაზინო სამსახურის ერთიან ანგარიშზე. ***მეორე:*** სქემა თავისთავად გულისხმობს გადამხდელთა მიერ კომერციულ ბანკში შეტანილი თანხის იდენტიფიცირებას. აღნიშნულ ოპერაციას ყოველი დღის ბოლოს ასრულებს კომერციული ბანკი და შესაბამისად თანხას რიცხავს ეროვნულ ბანკში სახაზინო სამსახურის ერთიან ანგარიშზე.

შემოსავლების მოძრაობა (არსებული)




შემოსავლების მოძრაობის სქემა, ასეთი პრინციპით უნდა ხორციელდებოდეს:

- გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა კომერციული ბანკები და მათი ფილიალები საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში არიან გაფანტული, არ არსებობს ისეთი ადგილი დღეს არსებულ რაიონულ დონეზე მაინც, რომ იქ არ იყოს თუნდაც ერთი ბანკის ფილიალი. გადასახადის გადამხდელს არჩევანის სრული უფლება უნდა ქონდეს აირჩიოს კომერციული ბანკი ან მისი ფილიალი და გახსნას იქ ერთი ან რამოდენიმე ანგარიში იმ ბანკში რომელიც ტერიტორული სიახლოვის ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით მისთვის ყველაზე მისაღებია;
- გადასახადის სახით გადახდილი თანხა კომერციული ბანკიდან და მისი ფილიალიდან ეროვნულ ბანკში იმავე დღეს უნდა ხვდებოდეს, ხოლო ეროვნული ბანკი მას უნდა ანაწილებდეს

ნორმატივების შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (თემი, ქალაქი) ბიუჯეტებს შორის;

- ავტონომიური რესპუბლიკების, მხარის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (თემი, ქალაქი) ბიუჯეტებში კუთვნილი შემოსავლები პირდაპირ უნდა ირიცხებოდეს ეროვნული ბანკიდან ყოველგვარი შუალედური რგოლების გავლის გარეშე. ამისათვის თითოეულ ამ რგოლს უნდა ჰქონდეთ სპეციალურად გახსნილი საბიუჯეტო ანგარიშები ნებისმიერ მათთვის სასურველ კომერციულ ბანკში ან მის ფილიალში და ამ ანგარიშიდან უნდა მოახდინონ თანხების შესაბამისი განკარგვა;
- გადასახადების სახით გადახდილი თანხების ის ნაწილი, რომლებიც კანონმდებლობის მიხედვით არის სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი, ეროვნული ბანკიდან უნდა ხვდებოდეს ხაზინის ერთიან ანგარიშში და იქიდან სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო იხარჯებოდეს წარმოდგენილი სქემის მიხედვით;
- იმისათვის, რომ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში დროულად და სრულად იქნას გადარიცხული კუთვნილი ანარიცხები როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან, ასევე ადგილობრივი გადასახადების სახით მიღებული შემოსავლები, საჭიროა საგადასახადო ინსპექციებმა საიდენტიფიკაციო[4] ნომრები გასცენ თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (უკვე რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელები კი დაალაგონ ასევე თვითმმართველი ერთეულების მიხედვით). ეს ინფორმაცია უნდა გადაეცეს ეროვნულ ბანკს, რომელიც დაალაგებს თვითმმართევლი ერთეულების ბიუჯეტებს კოდების მიხედვით და თანხის მიღებისთავანავე განსაზღლავს მის მიმართულებას და გადარიცხავს შესაბამის ბიუჯეტში;
- ეროვნულმა ბანკმა საგადასახადო ინსპექციებს პერიოდულად უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია გადასახადის გადამხდელების მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების შესახებ. ამასთან ერთად ეროვნული ბანკი აჯამებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციებს და აკეთებს ნაერთ ანგარიშს სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

შემოსავლების მოძრაობა (შემოთავაზებული)




[4] აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: დღეს არსებული სისტემის მიხედვით გადამხდელების კლასიფიკაცია და საიდენტიფიკაციო ნომრების მინიჭება ხდება რაიონული პრინციპით, რის გამოც ადგილობრივი ბიუჯეტების კუთვნილი ანარიცხები ხვდება რაიონულ ბიუჯეტში და შემდგომ იქიდან გადაეცემა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს (უმეტეს შემთხვევაში ასეთ დროს რაიონი იტოვებს გარკვეულ თანხებს, ხოლო დანარჩენებს ურიცხავს თვითმმართველ ერთეულებს).

### 4.8. გადასახდელების მოძრაობის სქემა

გადასახდელების მოძრაობა შემოსულობების სქემისაგან განსხვავებით გაცილებით უფრო რთულია.

სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში არსებულ კომერციულ ბანკებში და მის ფილიალებში ანგარიშები გახსნილი აქვთ თვითმმართველ და მმართველ ერთეულებს, საიდანაც ახდენენ ისინი მათ ანგარიშზე ჩარიცხული თანხების განკარგვას. თანხის გამოსატანად საჭირო ჩეკს ან თანხის გადასარიცხად საგადასახადო დავალებას ხელს აწერენ თვითმართველი ერთეულის საკრებულოს თავმჯდომარე და ბუღალტერი (მმართველობის შემთხვევაში - რაიონის გამგებელი/მერი და რაიონის/ქალაქის საფინანსო განყოფილების უფროსი), რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ამ თანხის განკარგვაზე.

ხოლო რაც შეეხება ცენტრალური ბიუჯეტში მობილიზებულ თანხებს, განთავსებულია ეროვნული ბანკში ან მის ფილიალში სახაზინო ანგარიშზე და იქიდან ხდება ფულის გადახდა მომსახურე სუბიექტებისთვის მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

ხარჯების გაწევის (მოძრაობის) სქემა, იდეალურ სიტუაციაში ასეთი უნდა იყოს:

- თვითმმართველი ერთეულის (თემი, ქალაქი), მხარის და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ფარგლებში, ამ ორგანოთა პასუხისმგებელი პირები მომსახურე კომერციული ბანკის ან მისი ფილიალის მეშვეობით აწარმოებენ ოპერაციებს საბიუჯეტო ანგარიშიდან (ამზადებენ და ბანკში მიაქვთ თანხის გამოტანის მიზნით ჩეკის წიგნაკი ან გადარიცხვის მიზნით საგადასახადო დავალება);
- ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ფარგლებში, ამ ორგანიზაციათა პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ ოპერაციებს ხაზინაში ან მის ტერიტორიულ ერთეულში გახსნილი საბიუჯეტო ანგარიშიდან (ამზადებენ და ხაზინაში მიაქვთ თანხის გამოტანის მიზნით ჩეკის წიგნაკი ან გადარიცხვის მიზნით საგადასახადო დავალება);
- თვითმმართველი ერთეულის (თემი, ქალაქი), მხარის და ავტონომიური რესპუბლიკის მომსახურე ბანკების ფილიალები აწვდიან ინფორმაციას განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების შესახებ მათ სათაო ოფისებს, რომელიც თვის ბოლოს ამ ინფორმაციას აწვდის ეროვნულ ბანკს;
- ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მომსახურე რეგიონალური ხაზინები აწვდიან ინფორმაციას განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების შესახებ ცენტრალურ ხაზინას, რომელიც თვის ბოლოს ამ ინფორმაციას აწვდის ეროვნულ ბანკს;
- ეროვნული ბანკი აჯამებს მიღებულ ინფორმაციებს და აკეთებს ნაერთ ანგარიშს სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მიერ გაწეული ხარჯების შესახებ.

## 5. ადმინისტრაციული ზედამხედველობა

*თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო - საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო... ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეული და დაყენებული ჩვენთვის არავითარ შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს.*

*ილია*

ადმინისტრაციული ზედამხედველობის მიზანია ადგილობრივი და სამხარეო თვითმმართველობის უფლებების დაცვა და მათი უფლებამოსილებების შესრულებისათვის ხელშეწყობა კანონისა და სხვა ნორმატიული საკანონმდებლო აქტების ფარგლებში. კანონის დასაცავად ადმინისტრაციული ზედამხედველობის მრავალი შესაძლო ღონისძიებიდან უნდა გატარდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად დააზიანებს ადგილობრივ და სამხარეო თვითმმართველობას. ადმინსიტრაციული ზედამხედველობის ღონისძიებით მოსალოდნელმა ზიანმა არ უნდა გადააჭარბოს ღონისძიების გზით მისაღწევ შედეგს.

შესაძლო ჩარევით ღონისძიებებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს პრევენციულ (პროფილაქტიკურ) ღონისძიებებს, ანუ ადმინისტრაციული ზედამხედველობის უფრო რბილ საშუალებებს საიმისოდ, რომ მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული ჩარევითი ღონისძიებები.

ადმინისტრაციული ზედამხედველობა თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებებთან დაკავშირებით მათთვის გადაცემული სავალდებულო და ნებაყოფილობითი ამოცანების სფეროში შემოისაზღვრება მხოლოდ ამ ამოცანების შესრულების კანონთან შესაბამისობის შემოწმებით (სამართლებრივი ზედამხედველობა).

ადმინისტრაციული ზედამხედველობა სახელმწიფოს მიერ დელეგირებული ამოცანების მიმართებაში მოიცავს როგორც სამართლებრივ ზედამხედველობას, ასევე ამ ამოცანების შესრულების შინაარსსა და სახეობას (დარგობრივი ზედამხედველობა).

თვითმმართველი ერთეულების და მხარეების სავალდებულო და ნებაყოფლობითი ექსკლუზიური კომპეტენციებთან მიმართებაში სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოებს და მათთვის დელეგირებულ კომპეტენციებთან მიმართებაში სამართლებრივი და დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოს წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში.

ის ღონისძიებები, რომელთა გამოყენების უფლებაც სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოებს აქვთ, დგინდება კანონით.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოებისათვის დელეგირებულ უფლებამოსილებებზე სამართლებრივი და დარგობრივი ზედმხედველობა ხორციელდება კანონით დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილებების და შესაბამისი დელეგირების ხელშეკრულებების ფარგლებში.

საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელს სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში შეუძლია თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოებს წერილობითი მითითებები მიაწოდოს სახელმწიფოს/მხარის მიერ დელეგირებული ამოცანების შესრულების სახეობისა და შინაარსის შესახებ. ეს მითითებები შეიძლება გაეგზავნოს როგორც ცალკეულ, ასევე ყველა შეუძლიათ თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოებს ერთად. თუ ამ მითითებების შესრულება დამატებით ხარჯების გაწევასთან არის დაკავშირებული ამ ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება იმ ხელისუფლების ორგანოების მიერ ვინც განახორციელა კომპეტენციის დელეგირება.

დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელებისას საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში არ არის უფლებამოსი, განახორციელოს ჩარევითი ღონისძიებები, თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებების გაუქმების შეჩერების სახით ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში ყველა ჩარევითი ღონისძიება უნდა არსებობდეს წერილობითი ფორმითა და სათანადო დასაბუთებით.

**ადმინისტრაციული ზედამხედველობის სფეროში პროფილაქტიკური (პრევენციული) საქმიანობის პრინციპები**

**სამართლებრივი კონსულტაციების გაწევის ვალდებულაბა** - საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში ვალდებულია სამართლებრივი კონსულტაციები გაუწიოს თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოებს მათი ამოცანების შესრულებისას მათი მოთხოვნის შემთხვევაში

**ინფორმირების უფლება -** საკმარისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელს სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში შეუძლია გაეცნოს თვითმმართველობის ერთეულებში მიმდინარე ცალკეულ მოვლენებს. მას შეუძლია დაათვალიეროს თვითმმართველობის ერთეულების დაწესებულებები, შეამოწმონ თვითმმართველობის ერთეულების მიერ როგორც მათი უფლებამოსილების ფარგლებში გატარებული ან გაუტარებელი ღონისძიებების მართლზომიერება, ასევე მოითხოვონ ამასთან დაკავშირებული ანგარიშები და აქტები.

თუ კანონით დადგენილია ნებართვებისს გაცემა მას გასცემს შესაბამისი საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში, თუკი კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელს სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში შეუძლია თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებსაც ნებართვა ესაჭიროებათ, ამისგან გაათავისუფლონ და სანაცვლოდ დაადგინონ საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელს სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში წინასწარი შეტყობინების ვალდებულება. თუ კანონი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ დელეგირებული ფუნქციების რეგულირებასთან დაკავშირებული თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებისთვის ნებართვას, მაშინ ნებართვისგან ანთავისუფლებას საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში.

**სამართლებრივი ზედამხედველობის ჩარევითი ღონისძიებები**

თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივი აქტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში თვითმმართველი ერთეულის/მხარის წარმომადგენლობით ორგანოებს აძლევს მითითებას იმის შესახებ, რომ მან დაუყოვნებლივ მოიწვიოს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს სხდომა ამ დადგენილების გადამოწმების მიზნით. თუ ეს ორგანო არ შეცვლის თავის სამართლებრივ აქტს, მაშინ საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელს სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში შეუძლია ის სასამართლოში გაასაჩივროს.

საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელს სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში შეუძლია თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანოების კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივი აქტები გაასაჩივროს საკრებულოში. გასაჩივრება აჩერებს ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლის გადაწყვეტილების შესრულებას. თუ თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანო არ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას, მაშინ სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანომ ეს სამართლებრივი აქტი 14 დღის განმავლობაში სასამართლოში უნდა გაასაჩივროს. სხვა შემთხვევაში შეწყდება თვითმმართველი ერთეულის/მხარის აღმასრულებელი ორგანოების სამართლებრივი აქტის შესრულების შემაჩერებელი მოქმედება.

იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოები მათ კანონიერ და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოვალეობებს არ ასრულებენ, საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელს სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში შეუძლია გასცეს განკარგულება მათ მიერ გარკვეულ ვადებში საჭირო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. თუ თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოები საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელის სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში ამ განკარგულებას განსაზღვრულ ვადებში არ შეასრულებენ,

მაშინ საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელს სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქმედების განხორციელების სარჩელით.

თუ მოსახლეების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას სავარაუდოდ დაემუქრება ან უკვე დაემუქრა საფრთხე, მაშინ საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელის სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში სასამართლოსადმი წინასწარი მიმართვის გარეშე შეუძლია თვითონ გაატაროს საჭირო ღონისძიებები.

საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელს სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში შეუძლია ამ დროს წარმოშობილი საჭირო ხარჯები თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოებისაგან მოითხოვოს. ამ საშაულების გამოყენებისას თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოებოს დასაბუთება გადაეგზავნება ღონისძიების დამთავრებიდან 5 დღის განმავლობაში.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ სასამართლოში გაასაჩივრონ საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო წარმომადგენელს სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში დადგენილებები, ქმედებები ან ქმედებებისგან თავის შეკავებაც.

## 6. თვითმმართველი ერთეულის/მხარის ქონება

*თვითმმართველობის საქებრად ეს კი უნდა ვთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცს სახელმწიფოს მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი.*

*ილია*

### თვითმმართველი ერთეულის/მხარიოს საკუთრება და შექმნის საფუძვლები

თვითმმართველი ერთეული და მხარე საკუთრებაში ფლობენ ქონებას.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის ქონების სახეებია:

- უძრავი ქონება
- მოძრავი ქონება
- არამატერიალური აქტივები

თვითმმართველი ერთეულის/მხარის საკუთრებაა ის ქონება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედის თვითმმართველი ერთეულის/მხარის მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის სფეროში.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის საკუთრებაში შემავალი ობიექტების კატეგორიათ ნუსხა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის საკუთრება იქმნება:

- საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილი წესით თვითმმართველი ერთეულისათვის/მხარისათვის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების გადაცემით;
- თვითმმართველი ერთეულის/მხარის მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ახალი ობიექტების შეძენით ან შექმნით;
- იმ ხდომილებათა შედეგად, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობა უკავშირებს სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების წარმოშობას;
- კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

თვითმმართველი ერთეულის/მხარის საკუთრებაში შემავალი ქონება იყოფა ძირითად (განუსხვისებელ) და დამატებით ქონებად. ძირითადია (განუსხვისებელია) ის ქონება, რომელიც წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის/მხარის განხორციელების საფუძველს და რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მისი საჯარო ფუნქციებისა და უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ძირითადი ქონების კატეგორიას განეკუთვნება:

- თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოების ადმინისტრაციული შენობები.
- საერთო დანიშნულების პარკები, სკვერები და ბაღები
- საავტომობილო გზები
- მდინარეები, ტბები და სხვა წყლის რესურსები

ძირითად (განუსხვისებელ) ადგილობრივ ქონებას უშუალოდ ფლობენ და სარგებლობენ თვითმმართველი ერთეულის/მხარის ხელისუფლების ორგანოები. ამ ქონების გასხვისება დაიშვება თვითმმართველი ერთეულის/ბხარის წარმომადგენლობითი ორგანოს დადგენილებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი ქონების შექმნით ან შეძენით არსებულმა ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორია და გამოყენების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

სახელმწიფოს მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემული ქონების მიმართ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

## 7. კონცეფციის საკანონმდებლო უზრუნველყოფის სქემა

*ჩვენ გვგონია, რაცა ვსთქვით, ეგეც სამყოფი საბუთი იყოს, რომ ხელახლად გადაისინჯოს ყოველივე კანონმდებლობა ამ საგანზედ, თუ სოფლის კეთილგანწყობა ვისთვისმე სასურველია, და ვისთვის არ უნდა იყოს სასურველი! ეს კია, რომ მარტო სოფელი, როგორც ნაბოლვარი რგოლი რთულის ჯაჭვისა, ვერ ასაზრდოებს თვითმმართველობას, თუ მარტო სოფელშივე დაიწყება და სოფელშივე ჩაწყდება. სოფელს მაზრა უნდა მოჰყვეს, მაზრას – გუბერნია...*

*ილია*

### 7.1. კანონპროექტები

- საქართველოს კონსტიტუციური კანონი "საქართველოს მხარეების შესახებ"

(იხ. დანართი № ???)

- საქართველოს ორგანული კანონი "მხარეებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და სამხარეო და ადგილობრივი თვიმმართველობის შესახებ"

(იხ. დანართი № ???)

- საქართველოს კანონი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და მხარეების ბიუჯეტების შესახებ"

(იხ. დანართი № ???)

### 7.2. კანონების ნუსხა სადაც პირველ რიგში იქნება შესატანი ცვლილებები და დამატებები:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- საქართველოს კანონი "საბიუჯეტო სისტემის შესახებ"
- საქართველოს კანონი "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ"
- საქართველოს კანონი "პირდაპირი სახელმწიფო მართველობის შესახებ"
- საქართველოს კანონი "ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ"
- საქართველოს კანონი "ადგლობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ"
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი
- საქართველოს კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოისლებისა და საქმიანობის წესის შესახებ"
- საქართველოს კანონი "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ"
- საქართველოს კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობსი ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ"

7.3. მოქმედ კანონთა ნუსხა, რომლებშიდაც უნდა შევიდეს ცვლილებები:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
2. საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ
3. საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ
4. საქართველოს კანონი ენერგეტიკის შესახებ
5. საქართველოს კანონი მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ
6. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ
7. საქართველოს კანონი საავტომობილო გზების შესახებ
8. საქართველო კანონი საბინაო კომუნალური მეურნეობის შესახებ
9. საქართველოს კანონი საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ
10. საქართველოს კანონი ვეტერინარიის შესახებ
11. საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ
12. საქართველოს კანონი ომისა და სამხედრო ძალების
13. ვეტერანების შესახებ
14. აქართველოს ორგანული კანონი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ
15. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ
16. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ
17. საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ
18. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ
19. საქართველოს კანონი წიაღის შესახებ
20. საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ
21. საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ
22. საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ
23. საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ
24. საქართველოს კანონი პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ
25. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ
26. საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ
27. საქართველოს კანონი სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ
28. საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ
29. საქართველოს კანონი მატიული აქტების შესახებ
30. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ
31. საქართველოს კანონი მიწის რეგისტრაციის შესახებ
32. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ

33. საქართველოს კანონი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ
34. საქართველოს კანონი საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის შექმნის თაობაზე
35. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტის შესახებ
36. საქართველოს კანონი საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ
37. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ
38. საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ
39. საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ
40. საქართველოს კანონი კულტურის შესახებ
41. საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ
42. საქართველოს კანონი განათლების შესახებ
43. საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ
44. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ
45. საქართველოს კანონი მიწების მელიორაციის შესახებ
46. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ
47. საქართველოს კანონი წყლის შესახებ
48. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ
49. საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ
50. საქართველოს კანონი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ
51. საქართველოს კანონი საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ
52. საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ
53. საქართველოს კანონი მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ
54. საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ
55. საქართველოს კანონი საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ
56. საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ
57. საქართველოს კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ
58. საქართველოს კანონი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ
59. საქართველოს კანონი ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ
60. საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ
61. საქართველოს კანონი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ
62. საქართველოს კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ
63. საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ
64. საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ

65. საქართველოს კანონი ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ
66. საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ
67. საქართველოს კანონი დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ
68. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
69. საქართველოს კანონი კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ
70. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ
71. საქართველოს კანონი სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ
72. საქართველოს კანონი მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ
73. საქართველოს კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ
74. საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ
75. საქართველოს კანონიქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ
76. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ
77. საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ
78. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ
79. საქართველოს კანონი პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ
80. საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ
81. საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი
82. საქართველოს კანონი საქართველოს თეატრების შესახებ
83. საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ
84. საქართველოს კანონი მობილიზაციის შესახებ
85. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ
86. საქართველოს კანონი სტანდარტიზაციის შესახებ
87. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
88. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ
89. საქართველოს კანონი მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ
90. საქართველოს კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ
91. საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ
92. საქართველოს კანონი საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ
93. საქართველოს კანონი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ
94. საქართველოს კანონი სამშენებლო საქმიანობის შესახებ

95. საქართველოს კანონი ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვასამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ

96. საქართველოს კანონი ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ

97. საქართველოს კანონი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული

98. პარკის ტერიტორიის გაფართოების შესახებ

99. საქართველოს კანონისამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ

100. საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ

101. საქართველოს კანონი სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ

102. საქართველოს კანონი საქართველოს სარკინიგზო კოდექსი

103. საქართველოს კანონი თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ

104. საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ

105. საქართველოს სანიტარიული კოდექსი

106. საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ

107. საქართველოს კანონი სახელმწიფო რეესტრის შესახებ

108. საქართველოს კანონი მშენებლობის ნებართვის შესახებ